# დროშა

ფასი 20 კაპ.

№ 5

კვირა 14 თებერვალი 1926 წ.

გაზეთ „კომუნისტი“-ს დამატება



ნახ. შალვა ქიქოძის.

ხევსურეთი

# „დროშის“ ფოტო-ქრონიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა




1) ქუთაისის მაუდის ქარხნის საერთო შეხედულება. 2) წითელი დირექტორი დ. რუხაძე. 3) სამანქანო განყოფილება. 4) ფაბრიკის ბუხჰალტერი 6) სამანქანო განყოფილება. 7) საქსოვი განყოფილება. 8) დინამო მანქანა

3167 р3

კვირა, 15 თებერვალი 1926 წ.

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

| ხელის მოწერა | განცხადების ფასი: |
|---|---|
| 1 წლით . . . 5 მ. 50 კ. | „დროშის" მთ. გვერდი 200 მ. |
| 6 თვით . . . 3 მ. — | 1/2 გვერდი . . . 120 მ. |
| 3 „ . . . 1 მ. 70 კ. | 1/4 „ . . . . 65 მ. |
| ცალკე ნომერი ყველგან 20 კ. | |

მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპ. „კომუნისტის" რედაქცია.

№ 5 | გაზეთ „კომუნისტი"-ს ორკვირეული სამხატვრო—სალიტერატურო დამატება | № 5



თოვლის ნამქერები ჭიათურაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხარატი



ვასილ ბარნოვი.

— ილიკო, ელიობა არი დღეს და წადი, სანთლები დაანთე, შეევედრე, საქმე წაგიმართოს.

— წავალ! შენ ვერ წამოხვალ? ერთად გავივლიდით; ვინ იცის, ვის შევხვდებოდით, გავიცნობდით.

— ბალღს თავს ვერ დავანებებ: ავადობა ძლივს მოიხადა. ეს კელეპტრები დაუნთე: თავს შემოვავლე, შეწუხებული რომ იყო.

— მოიტა!

— მაინც რად გინდივარ? ჩემი არჩეული ქალი არ მოგწონს.

— გწყინს, დედი? კარგი ადამიანი იქნება ნანო, რახან თავი შეგაყვარა, მაგრამ არ არის შნოიანად მოხარატებული: პირის ყდა მომრუდო, ნახჩი მძიმე, კოპტნად მოჭრილი.

— შენ გინდა, ფარგლით იყოს მოქანებულ-მოხაზული, როგორც შენგნივ მოჭედილი ჩუქურთმა. ძნელია ეგეთის პოვნა, მაინც შეევედრე ელიას, ბედს შეგყაროს, თორემ... ვაჟი იჯდეს, ბერდებოდეს.

— ვბერდებოდე ოცდა შვიდი—რვა წლისა?! კარგი, დედი, შევეხვეწები, მაგრამ ბრმა არის და როგორ გაარჩევს ლამაზს გონჯისაგან?

— ჰო, უსინათლოა ღრუბელთ წინამძღვარი; იმისთვის მოხდება: ეშმაკსა სდევს მეხით და სეტყვით, ჭირნახულზედ კი გადივლის და ანადგურებს. მაინც გიშველის: ჩაგაგონებს გულთამხილავი.

გამოეწყო... ყელიანი წაღები, სკლატის ჩოხა-შალვარი, ზეტენტურის ახალუხი ფოთოლდაყრილი, ვერცხლის ქამარ-ხანჯალი, რგვალი ქუდი კრაველისა. რა უჭირდა, მოხდენილად ეცვა. მხოლოდ მალლობდა ახალუხის საყელო დაგვირისტებული, მეტად ჰფარავდა შნოიან კისერს. უხდებოდა ულვაშები მოპარსულ პირზედ.

ჩაუარა დუქანს, დაათვალიერა. დახურული ბაზრის ზევით ჰქონდა სახელოსნო, მეჩუსტეების თავში. ხიდის ყურეზედ თათარს ნუშ-ქიშმიში გამოართვა, ჯიბეში ჩაიყარა გზაგზა შესაქცევად. ჰხვდებოდნენ, ქუდს უხდიდნენ: იცნობდნენ მარჯვენა ნაკურთხს: თუ პირად არა ჰქონოდათ საქმე, ქება მაინც გაეგონათ მისი.

უკეთესი ხარატი იყო. მემკვიდრეობით მოუდიოდა ხელობის ეშხი. მისი წინაპარნიც ხარატები იყვნენ. ალექსანდრე ბატონიშვილის დარბაზი მისი პაპისაგან იყო საგანგებოდ მოჭდეული. მდიდარ ოჯახებს სასახელოდ მიაჩნდათ მისი მამის გაკეთებული აკვანი სდგომოდათ.

ჯარას ჩამოსხამდნენ, თავად ბრუნავდა, თითონ ართავდა.

დაბრუნდი თუ დაბრუნდები, ვით ხარატული ჯარაო!
მშობელი შენი ვაცხ.....

ილიკო რომ ბზრიალას თუ ხელბორბალს ჩამოაყალიბებდა, უკეთესი აღარ იქნებოდა. სხარტი ბზრიალა კოჭმალალი კუდა შოლტის დაქნევაზედვე შეთამაშდებოდა, ციბრუტად გარდიქმნებოდა. უბნის ბიჭები მარტო მასთან ვყიდულობდით ამგვარ სათამაშოებს. შორეულნიც.

გააუმჯობესა თავისი ხელობა: ნახატი ყვავილები თუ სხვა სახეები შეიძინა, უკეთესი ხელსაწყოები. ნაქარგი გეგონებოდა ნახარატევი. აფსუს, აღარ შემრჩა მის ხელოვნების ნიმუში, მეჩვენებინა.

— რა არის, შვილო, სულ ჩუქურთმის ნაირებს ჩაჰკვირვებიხარ, თითქო შენი ხელობის გარდა სხვა აღარა იყოს რა ქვეყანაზედ.

— სიზმარშიაც ხშირად ვხედავ ხარატულ სახეს. ამბობენ, უცხოეთში ჯგუფჯგუფადა აქვსთო ამისთანა ნახატები. უსათუოდ შევიძენ, ნაღდი რომ ჩამივარდება ხელში.

—:—

ბევრი მლოცავი არ იცოდა ხატმა, მაინც საკმაო ხალხი ამოსულიყო. დარი ხელს უწყობდა: მკათათვის სიცხე შეეგრილებინა ელიას, ღრუბელთ ფთილები ფარფარა მოელალნა ცის კაბადონზედ.

— ამბობენ, ამ დღიდან სიცხე იშაშრებაო.

— ჰო, ამ დროს თვეზედ მეტია გასული მზის დიდ სიმაღლიდან და ხუნი ეპარება მის შარავანდედს. თუმცა ისევ გულადად არის, ხან მეტ სიცხოვლითაც მოგვევლინება.

შევიდა ვაჟი, დაანთო სანთლები; მუხლი მოიდრიკა; შეეხვეწა, ლამაზ ყისმათს შემახვედრეო. იმედით კი ვერ იყო გაცლენთილი: თავს არ ანებებდა ის ჰაზრი, რომ უსინათლოს ენუკვებოდა. გამოვიდა. ბაღდადის ხელსახოცით გადაბერტყა ლოდი და ჩამოჯდა აკაკის ქვეშ. ათვალიერებდა ობაში მოსულთ.

ვაჭრობდნენ. გამოეტანათ ხილეულ-ტკბილეულობა. საგრილობელი შარბათები. ზოგი რამ საქონელიც გამოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფინათ სახელდახელო: საცა ხალხია, ცხოვრება იქ დუღს და ვაჭარი ეტანება ამგვარ ადგილებს.

— შარბათით ყელს ჩავისველებ, გაიფიქრა.

არც თუ ძალიან სწყუროდა, მაგრამ რას ეგვანებოდა, არაფერი დაეხარჯა ობაში მოსულს, ვისთვისმე ხეირი არ მიეცა. მოითხოვა. დალია. ამოაჩხრიალა თეთრი. გაიხედა აკაკისაკენ: იმ ქვაზედ ნანიკო და მისი დედა ჩამომსხდარიყვნენ. შეენიშნათ ვაჟი, მისკენ იმზირებოდნენ. თვალი თვალს შეხვდა. არ შეიძლებოდა, არ მისულიყო. ან რა დაუშლიდა: კარგი ნაცნობები იყვნენ, არ გაევლო მათში ქუფრ აჩრდილს.

ადგილი უყვეს. მოიკითხეს ერთმანეთი, წაისაუბრეს. ფერი მიზდმოზდიოდა მოწიფულ ქალწულს: ვაჟის სიახლოვე ტკბილადა სწვავდა. ჰაზრად მოუვიდა, რითიმე ესიამოვნებინა ქალებისათვის, გაემართა, მოართვა ხილი.

— ინებეთ, გენაცვათ!

— რად სწუხდებოდით!

— ხომ არ მიბრძანებთ, თითო ჭიქა შარბათი მოგართვათ?

— არა, ყმაწვილო!

— დიდათ მადლობელი გახლავართ!

— ღმერთო და წმინდა ელიას მადლო. ამისრულე ნატვრა, სიყვარულის თვალით მოახედე ჩვენსკენ ჯეელი! წაილოცა თვის გულში დედამ.

— მოვსწონვარ საწყალს. იქნება დედაჩემის რჩევა კარგი იყოს და სასარგებლო. უარყოფა სიყვარულისა... არა, არა! როდი არის მიმზიდველად მოჩუქურთმული.

— შვილო ნანიკო! ვემთხვიოთ საყდარს და წავიდეთ: დროა, სახლს მივხედოთ.

— კარგი დედილო!

— თქვენ, ყმაწვილო, ჯერ არ წამოხვალთ?

— არა, დედი; ამხანაგებმა მითხრეს, ამოვალთო, იტყუვლა ილომ.

და შეყირმიზდა.

—:—

მიეფარნენ ქალები. ვაჟმა მიავლმოავლო თვალი იქაურობას. საგულისხმო ვერა ნახა რა. თვალთა ხედვას თუ ჰნისლავდა რეული ფიქრი ნანიკოს რომ გამოეწვია: ქალის სახე და აღნაგობა არ მოსწონდა; თან დიდად ეფასებოდა მისი მოსიყვარულე გული, რომელსაც ის ამოერჩივნა სათაყვანებლად.

გამოსცდა გალავანს, დაადგა თავქვეს. ნელნელა დიოდა: ქალიაანთ მანძილი ჰქონდათ გასავლელი მის გზაზედ და ვერ გააკვლია: აჩქარებულიყო, მისწვდენოდა; თუ ფეხი დაეწყო, უკან ევლო, მანამ გაიყრებოდნენ გზები.

— რა საწყლად შემომხედა, რომ არ გავყევი! გული უსეტყვა ჩემმა ცივ სიტყვამ.

— ჰა, ილო, არავინ დასჩაგრო შენ სავალ გზაზედ თუნდ უნებლიეთ: შენ რომ ბედნიერებას ეძებ, სხვასაც ნუ ჩაუშავებ ცხოვრების არეს!..

— მიმიხვდა დედა ტყუილი რომ ვსთქვი: მის სახეზედ ამოვიკითხე.

— ბარემ გაბედე და გადაწყვიტე. ცოტა ჩქარა, კიდევ მოეწევი; კალთა სიხარულს მიუზღვნი ბეჩავს.

განაგრძო ნელი სვლა. ძირს იხედებოდა: ფიქრს შეემძიმებინა თავი; ქვა-ღორღით სავსე იყო დახრილი ქუჩა. ვილაცამ კალთაზე აიკრა ხელი და შედგა ქვაზედ ბალღური ფეხი. ააყოლა ვაჟმა თვალი და... შეჩერდა: მარწყვის ქალი მოკივკივებდა. იცი ქალი: ვარდისა, ზამბახისა, კომშისა, ბალი...

თეთრო ბალის კუნწულავ,
შავშავ თვალებიანო!..

ეს მარწყვი იყო ქალად ნაშობი, შუაზედ რომ მოიბავს ნაყოფს შემღერილ ყლორტზედ. ხელი მოისვა თვალზედ, კვლავ გადახედა. ჩალის შაპო ფრთა ახრილი. ლალის საყურე დრუნგილის ყურში.

ალმა აჰკრა ქალს: ახალგაზრდას განცვიფრება თუ შეამჩნია. ჩამორჩენით ასდევდა ქალს მანდილოსანი: დედა თუ იყო.

დაბრუნდა ვაჟი. აედევნა შორი-ახლო, შეჰყვა საყდარში. ქალი რომ ელიას ეამბორა, ვაჟმაც აკოცა ხატს ნამთხვევ ადგილს.

— ელვათ მტყორცნელო, ჰე ჩემი ბედი! დამეხმარე, შენი ჭირიმე! თვალთ ჩინი გქონდეს, არჩევანს შენც მომიწონებდი.

უზრდელობა იქნებოდა უფრო აყოლა და დააპირა განშორებოდა. მხოლოდ ეძებდა ისეთ ვისმეს, რომ სცოდნოდა ვინაობა იმ ქალიშვილისა.

— გამარჯვება, ჩემო თომავ! ხატობაში წამოსულხარ.

— გაგიმარჯოს! გამოვისეირნე.

— თუ იცნობ იმ ქალს?

— მანანოსა? ვიცნობ ხარფუხელია.

— ვისია?

ობოლია. გადამწერი იყო მაგის მამა, ღარიბია.

— მდიდარია უფლის წული!

— რაო?

— საუნჯეა სიმშვენივრისა!

—:—

დაეშვა შინისაკენ, მარდად იარა, გაუკვირდა დედას, მალე მისული რომ ნახა.

— გწყალობდესთ!

— შენი მწყალობელიც იყოს! ესე სწრაფად მოილოცე?

— ვიყავ, სანთლები დავუნთე.

— ვინ ჰნახე?

— ნანო შემხვდა და მისი დედა.

— ხომ ზრდილობიანად მიესალმე?

— დავსხედით, ვილაპარაკეთ; ხილი ვყიდე. მინდოდა შარბათიც მიმერთმია, არ ინებეს.

— გააცილე? კიდეც იმისათვის დაჰბრუნდი ადრე. როგორა ჰლელავ!

— იქვე გამოვეთხოვე. სულ სხვაზედ ვღელავ. სხვა საქმისათვის ავჩქარებულვარ.

— რამ აგაშურა?

— ვნახე ქალი ქვეყნის თვალი! სწორედ ის, ვისაც ვეძებდი და ველოდდი. გაგიგონია ბალიაურის ოჯახი ხარფუხში?

— არა!

— მამა აღარა ჰყავს. ღარიბი არის. რა ჩუქურთმაა!

— რას ბოდავ, ბიჭო?-

— ხარატული სახე, ეშხით ჰდეული ნაქვთი! დედი, ეხლავე დაიხურე თავი, ჩაიცვი საუკეთესოდ და პირდაპირ წადი. მიგაცილებ იმათ ქუჩამდინ: იკითხე და......

— რას ამბობ, კაცო? ვაჟის დედა ვარ, ამსუბუქება არ მომიხდება, არც ევარგება. გავიგოთ, ვინ არის, როგორი არის; იქნება ხელსაყრელი არ არის ჩვენთვის.

— არა, დედიჯან! დღესვე გაიგე და მოვაგვაროთ საქმე. რომ ჰნახავ, ყველაფერში დამეთანხმები.

მაინც არ აჩქარდა დედაკაცი, თუმც თანაგრძნობით ახმაურდა მისი გული შვილის ღელვაზედ. მონახეს სანდო მანდილოსანი, მიგზავნეს. მოვიდა ამბავი. კარგი თქმა სჩანდა, თუმც ერთ ადგილას მეტად საშიშრობდა. ქალი მნათობი, მცირე წიგნის მცოდნეც, მთლად კი ღარიბი. დაცა ჰყოლოდა ჯერეთ წვრილფეხი. დანიშნული არ ყოფილიყო, თვალი კი ბევრსა სჭეროდა მასზედ. შეძლებულებსაც.

— მთლად ცალიერია შენი ლამაზი, მზითევი სულ არა აქვს. ზედმეტ ხარჯსაც გამოიწვევს მისი ღარიბი მისადევარი.

— ქალი ოქროა ხალასი და ბაჯაღლოს სხვა საფასი არ ეჭირვება. ოღონდ კი მოხდეს და...

— იცი, დედი, მე კიდევ აველი ელიასთან და შევევედრე, კურატი შევუთქვი, ოღონდ დამეხმაროს იმ ქალის შოვნაში.

— კურატი?! თოხლი არ ეყოფოდა?

— ეჰ, ალბათ გინდა, ზვარის თავ-ფეხით მომეტყუებინა ხატი. ნუ გენანება! გაიგე, დედი: ჩემი სიხარული იმ ქალზედ ჰყვავის, ჩემი გული იმ ქალში ცხოვრობს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ესმოდა ეს დედას და მისთვის იყო დაღონებული: ქალის მთხოვნელებში მისი შვილი ვერ მოთავობდა.

—:—

მთხოვნელებში უფრო მდიდარი იყო მეხილეს შვილი.

— ხომ გახსოვს პეტრე ბაყალი, ანჩხატის უბანში რომ ჰქონდა დუქანი?

— როგორ არა. რა ხურმას ჰყიდდა!

იმისი შვილი პავლე ბალღობიდან გაიწვრთნა ვაჭრობაში, უნარი გამოიჩინა და ნიჭი. შუაბაზარში გახსნა ხილეულობის მაღაზია. სხვა ტკბილეულიც ბევრიც დასძინა, გააფართოვა აღებ-მიცემა. ბითუმადაც ვაჭრობდა. თანხა შეძინა, მამული შეისყიდა. ღარიბი ოჯახისთვის სახარბიელო სასიძოდ მოსჩანდა. არც თითონ იყო უშნო ვაჟკაცი. ქალის სიყვარულს ისიც გადაჰყოლოდა. ჯერ არ დაერთო ქალწულს დასტური; არც უარს იყო. ამ ხანებში ესტუმრა ხარატიანთ შუაკაცი ქალიაანთ და გადასცა ილოს სურვილი.

— რა ვქნა, გენაცვა, ქალს მავანაანთ ვაჟი გვენუკვება; მდიდარია; თითონაც კარგია: დასაწუნი არ არის ჩვენგან.

გამარჯვებული ვერ მოუვიდა შუამავალი. ძნელი იყო ეს ვაჟისათვის. სადედამთილოს კი მაგდენად არ ეწყინა: მას ძლიერ თოქმა ნანო ერჩივნა. უფრო გამწევად მიაჩნდა. უთხრეს ვაჟს, თუმცა იმედი არ მოუშალეს, ჩაფიქრდა. მთელი დღეები დაღვრემილი დადიოდა: რაღაც მოქმედების სახეს ახატებდა ჰაზრთა არეში. დედას ეფიქრემედების სახეს ახარატებდა ჰაზრთა არეში. დედას ეფიქრე-

— თუ რამე გზას დაადგა, აღარ გადუხვევს, მანამ საქმეს დამში არ მოიყვანს. მთელი კვირა არ მოეშვება, სახარატო ჩუქურთმის სახეს კი სურვილზედ გამოიყვანს.

— საქმიანობაში დაუფასებელია ეგრე მძლავრად ზელმიდანა, მაგრამ აქ რას გააწყობს, როცა ყველაფერი სხვაზედ არის დამოკიდებული?! ქალ-დედისათვის მოუჭრია თვალი ქონებას.

— ნეტა ნანოაანი გადმოვიდოდნენ მითომ შემთხვევით: ეგებ მიიზიდოს, გული დაუხვიოს და მცირედ მაინც გაუგრილოს იმისადმი მხურვალე გრძნობა; მეტად ასდულებია სიყვარულის კოჭობი.

— ანებე თავი! მხოლოდ ის უდგა თვალთ წინ და ამის გული ამჟამად სხვას ვერ ითვისებს; შეიძლება, ნანოცუდ თვალზედაც ნახოს სხვის ეშხით მთვრალმა.

—:—

ილოს დედამაც ინახულა ქალი. არაფერი გამოვიდა ბედის ცდისაგან: პავლეს თხოვნა თითქმის მიეღოთ. ქალს ჯერ დასტური არ დაეცა მოლბილებული კი იყო, ვაჟისკენ გადახრილი. მოეწონა ღარიბი ოჯახი, სუფთაობა. ფაქიზად ეცვათ, თუმც ხელმოკლეობის კვალი მაინც ყველაფერს ემჩნეოდა. არ დაიშურეს ტკბილი სიტყვა ზრდილობიანი:

— რა ვქნა, ქალო? ძალიან მიქეს თქვენი ვაჟი, კარგ ხელოსანს ბინადარს ჩვენგან უარი არ ეთქმის, მაგრამ ალბათ ჩემი ქალის ბედი პავლე იყო: პირველად ის შემოგვენუკა.

— ჯერ სიტყვა არ დაგითქვამთ? ნიშანი არ მოუტანია?

— დღე-დღეზედ გათავდება მოლაპარაკება.

იწვიეს ჩაიზედ. არ დადგა: ჰხედავდა, ფეხს ვერ მოიკიდებდა და რაღად უნდა შეეწუხებინა. ქალი მიეწონა: ნაქვთად კარგს ყოფაქცევაც ზომიერი ჰქონდა, ჰაზრიანი სიტყვა-პასუხი. ისე გადმოაცილეს დედა-შვილთ, თითქო მახლობელს ისტუმრებენო.

ილო გულის ფანცქალით მოელოდდა დედას. რამდენჯერმე გამოვიდა შესაგებებლად. მალევე ბრუნდებოდა ვაი თუ სხვა ქუჩით დაბრუნდესო, რომ დაიგვიანა, იმედი მიეცა:

— ალბათ თავაზიანათ მიიღეს, სიტყვა ათქმევინეს. ეს კარგი ნიშანია: მოხერხებული საუბარი იცის დედამ.

შემოაღო კარი. სახეზედ სიხარული არ ეტყობოდა, არც სიმძიმილი. ჯერ ტოლომა არ მოეხსნა, რომ შვილი კითხვას კითხვაზე აყრიდა.

— დამაცა, ბაღდადი მოვიხსნა, ამოვისუნთქო!

— როგორ მოგეწონა?

— პატიოსანი ხალხი ჩანს, შეგნებული. იმედი იქნებოდა, თუ იმ კაცს ერთი ფეხით არ მიესწრო ჩვენთვის. ეხლა...

— ბელგა მიუტანა?

— არა!.. ყველაფრით შემკული ქალია, მაგრამ ცოტა სუსტი მეჩვენა. ვაი თუ ვერ შესძლოს ოჯახის გაძღოლა. ჯერ მის ბავშვურს ხელს დახედე, რომ...

— აი არც მე მაქვს დიდი ხელი, მუშაობისა კი არ ეშინიან. ახლა შენ გინდა, ხელზედ ლავაში გაეშლებოდეს.

— რა გელაპარაკო შეყვარებულს?! მომეწონნენ. არა ჰქონდათ საჩვენო პირი.

დაღონდა ვაჟი, თავი ჩაჰკიდა. სადილთუკან რომ წავიდა სახლიდან, შუაღამემდინ აღარ შემოსულა ქეიფიანად დაბრუნდა და მაშინვე ჩაწვა.

დედამ თითზედ იკბინა:

— ვინ ჩემი ილიკო, სად გვიან დაბრუნება და ნასმობა?! ღმერთო! მიხსენ განსაცდელისაგან.

დედი, დააწეწინე ნაალი: გვერდები დამამტვრია, ვერ დამიძინია.

— რას ამბობ, შვილო?! კრაველის ლეიბია თივთიკივით რბილი.

მთელი კვირა დაღვრემილ-დაფიქრებული დადიოდა, წყვილი სიტყვა არ უთქვამს ერთად. წავიდოდა გვიანობამდინ აღარ დაბრუნდებოდა. აღარ კი სვამდა. პურსაც ვერა სჭამდა გემრიელად: : ემწარებოდა ტკბილად შენელებული საჭმელი.

სახლიდან გამოსულმა ხარფუხისაკენ დააწყო ფეხი. საზღვრილი მიზანი არ ჰქონდა; მიდიოდა, რადგან სხვა სავალი აღარ გააჩნდა. ჰკითხე ტალღას:

— რად მიისწრაფი მაგ გეზით. რისთვის გასჯილხარ?

ზევიდან მოექცა იმ ადგილს, ქვეყნის გული რომ იყო მისთვის. დაჰყურებდა ტურფის სავანეს.

— მივალ! მიმიღებს კეთილი. დაიხედა ტანისამოსზედ. სუფთად ემოსა, თუმცა ეჯობინებოდა სადღესასწაულო სცმოდა. გადადგა რამოდენიმე ბიჯი. შედგა შეწითლებული.

— რას სჩადი, კაცო?! რომ მიდიხარ უცხო სახლში, რა უნდა უთხრა, რა ეგონებათ? დაიცა, მოახერხე მათი გაცნობა, მერმე ეწვიე.

ჰხედავდა თქმის სიმართლეს, მაინც მიდიოდა: ვეღარ შეეძლო თავი შეემაგრებინა.

— ვინა გნებავთ, ყმაწვილო?

— თქვენთან გეახელით: საქმე მაქვს აუცილებელი.

— მობრძანდით!

— ილია გახლავარ, დედი, ხარატი ილო.

მიჰხვდა დედაკაცი, ვისთანაცა ჰქონდა საქმე.

— შორიდან გიცნობთ: თქვენი მამიდაც, დედა თქვენიც იყვნენ ჩვენსა. დაბძანდით აქ!

დაჯდა. კოხი თუ ეყარა სკამზედ; იქნებ ლურსმებიც. ნახა დედაკაცმა ვაჟს ფერი მისდ-მოსდიოდა და მიეშველა:

— კეთილი იყოს ჩვენი გაცნობა! ბევრი კარგი გავიგონე თქვენზედ. მე თითონ მინდოდა პირადად გამეცანით. ეხლა მომაგონდა: ელიობას გნახეთ შემთხვევით.

— დიახ, ბატონო დედავ! ის იყო ჩემი ბედისწერის წუთი, თქვენი შეხვედრა. მას აქეთ არის მთავარ ცნობა ამხდა და ნუ მიწყენთ, თავხედურად შემოგბედეთ.

— არა, გენაცვალთ! სამეგობროდ მოსულს ავი თვალით ვერ დაჰხვდება ჩვენი ოჯახი. უკაცრავად, ეხლავე გეახლებით.

შევიდა ოთახში. რამოდენიმე წუთის შემდეგ გაიღო კარი. შეიწვია მოსული. მიეგება ქალი. ხელი ჩამოართვა, გაუღიმა. ყვავილის ღიმი!

— გინახავს, ვარდი რომ იფურჩქნება მზის პირველ სხივზედ? რა სუნნელია ტურფა ქმნილება! დაეწაფე გაპობილ ბაგეს, შესვი ნექტარი......

ლმობიერათ მოექცა ქალი, არრა უწყინა. წყნარი ღი-







**1.** პ. კრაპოტკინის გარდაცვალე-ბიდან 5 წლის შესრულების გამო
გარდ. 8 თებ. 1921 წ.
2. ვეზუვიდან ბოლი ამოდის.
**3.** მუშათა საპროტესტო დემონ-სტრაციები იაპონიაში.

მილით. დინჯი ქცევით ამშვიდებდა მეტად მღელვარეს. სახვეწარი ვერ გაუბედა. დააპირა წამოსვლა. უწყეს ქვე-ქვე წვევნა. დაემშვიდობა, მიდიოდა ცნობა მიხდილი; თუ სტოვებდა სული მეცანი? დედამ გადმოაცილა ეზოს კარამდინ. გამოთხოვებისას უთხრა თითქმის დანანებით:

— გხედავ, შეგყვარებია ჩემი ქალი. მისი ბედი გადაჭრილია: სიტყვა სხვისთვინა აქვს მიცემული. შეიკავე, შვილო, თავი; ვაჟკაცურად შეებრძოლე შენს ლამაზ გრძნობას.

მოდიოდა, უკანუკან იხედებოდა.

— სად ვიყავი აქამდისინ, რომ ამცდა ბედი? სათუთი მანო პავლიას ხელში! ჩემი უნდა შეიქმნას იგი!

სიტყვა ადვილი, ასრულება შეუძლებელი! რითი უნდა დაემონებინა მშვენიერი ვიღაც ხელოსანს?! ვერც აწმყო, ვერც მომავალი სიმდიდრით თვალს ვერ მოსჭრიდა: ხელოსანი დოვლათის მხრივ არც მოკლდება არცა გრძელდება . ქალი უკვე ხელდადებული იყო სოვდაგარისაგან, რომელიც ვარგისი სჩანდა აღნაგობით, შეძენის გზაზეც გამარჯვებული.

თანისთანად იძაგრებოდა მარყუში, რომელი ჰკონავდა ქალს იმ ვაჟთანა. იცარებოდა ილოს საქმე უიმედო გზაზედ მავალი. რა შეეძლო?! მოთმინება. მხოლოდ მაგრება. და იბრძოდა თავის თავთან წყალწაღებული რამდენჯერ ჩაუჯდა საქმეს; ეგონა, გაირთობდა, გაიტაცებდა. ამაოდ! აეხატებოდა თვალწინ ფერშავი კითხვა:

— რისთვის გინდა, ან ვილასათვის?!

მოუდუნდებოდა მქმედი მარჯვენა. სახარატო სახეები იფანტებოდნენ. წავიდოდა შინ. არც იქ მოსწონდა. ველარავისთვის გაესწორებინა თვალი: ეგონა, დამცინიანო ყბადასაღებს, მიბრალებენო დაბეჩავებულს. დედა თვალს არ აშორებდა ვაჟს; მისი ყოფა გულს უსერავდა მაინც იმედს არ ჰკარგავდა:

— ისევ ქაფქაფებს. კოჭს დაიგდებს გრძნობის დუღილი, დაეშვება, თვალთა ჯანღი გადეწმიდება. სათავისოს სხვას ამოირჩევს.

შეცდომა მოუვიდა: იწვია ნანო ქალი და მისი დედა. რა თვალზედ ნახა ვაჟმა! დიდად გაისარჯა, ბევრი ეწამა, ოღონდ არ შეემჩნევინებინა სტუმრებისთვის თვისი გრძნობა უარმყოფელი. მაინც ბოლომდინ ველარ შესძლო და გაეცალა უგნებელად ხარფუხისკენ მიჰმართა თვის სვლა.

ქალიაანი დააფიქრა ვაჟის უმწეო ყოფამ, უიმედო თანაგრძნობის მანდილი გაათრიალებინა მისკენ: კარგი გრძნობა ყვავილია სუნნელოვანი, ყველას თავს მოაწონებს ყოველთვის. ნახეს, წრფელ სიყვარულს გაეღვიძნა ჭაბუკის გულში და უამათ, თუმცა დაღონდნენ: მათ უნებლიეთ მის ტრფიალების აყიროსთვის უკვე გაევლო ძირში ქიასა.

— აქებენ, დიდებული ოსტატიაო; ხელოსანი კი არა, ხელოვანია თვის საქმეში.

— ღმერთმა კეთილი მისცეს თავის გზაზედ! შენ შენს ბედს შეჰხვდი და დაგვიანებულია ყველა სხვა გრძნობა.

— რამ გააბედვინა მოსვლა?

— გაბედვის საქმე არ იყო: თავის უნებლიეთ შემო-

ტრიალდა, გრძნობამ დასძლია.

— მოკრძალებით იქცეოდა, ზრდილობიანად.

— ღმერთო ჩემო, როგორ ღელავდა! თვალი ვერ მოგწყვიტა, ვერც გაგისწორა.

— ათას გვარად ეცვალა ფერი.

— აღარ ღირს ლაპარაკი. ბელგას მოგიტანს პავლე და ეგეც ხელს აიღებს, რაჲი ჰნახავს, სხვის ბედი გაჰხდი.

— ნეტა არის ისეთი გრძნობა, აღარ შეიძლებოდეს მისი დავიწყება?

— არის! როგორც ღრმად გავლილი ცეცხლის კვალი სამუდამოდ ემჩნევა სხეულს, ისე ელვასავით მძაფრი გრძნობა გულს: ტკივილი მიყუჩდება, დამწვრის კვალი მაინც დარჩება.

—:—

დაანება დუქანს თავი, სამუშაოს გული აჰყარა. დილიდანვე შეემზადებოდა. და გასწევდა. ღამემდინ შინ აღარ შემოიძლეოდა. დაალონა ოჯახი მისმა უცნაურმა ქცევამ. ხმას მაინც არა სცემდნენ, თვითონ მოვაო გონს.

ამ ხანებში პავლემ მიუტანა ქალს ნიშანი, რა ტკბილეული, სასმელები! რა სამკაული! ქორწილს უდრიდა უხვი ნიშნობა. ამის შემდეგ თავისუფლად დადიოდა დანიშნულთან. დაჰკეტდა დუქანს, გამოეწყობოდა უკეთეს ტანისამოსში, გაავსებდა ბაღდადის ხელსახოცს რჩეული ხილით და გაუდგებოდა გზას. თითქმის ყოველ მოსვლაზედ ნივთს რასმეს მიართმევდა თავის ახალ სულს. ქორწილის დღე დანიშნული ჰქონდათ.

ეს დაწვრილებით იცოდა ილომ, რამდენჯერ შორიახლო აჰყოლია დანიშნულთან მიმავალს. იცოდა, აღარა ეშველებოდა რა წაგებულ საქმეს, მაინც ვერ დახსნოდა იქითკენ მზერას. გონება ეუბნებოდა, მოსცლოდა სხვის კერძად გამხდარს. გული არ ემორჩილებოდა ჰაზრისაგან ნათლად ნათქვამსა; მისწრაფება უნებლიეთ მიაქანებდა იმ უპოვარ საძებრისაკენ.

— ცეცხლი მედება. არ შეიძლება არ ასრულდეს ეს წადილი აცეცხლებული! იტყოდა ვაჟი.

— გხატავს ქართულ ტალავარზედ ქამარ-ხანჯალი!

— რამდენჯერ მითქვამს! რას აიჟინე მაგის ტარება? ოსტატის საქმეა სატევრის ხმარება?!

— არ მიხდება?

— გხატავს ქართულ შალვარზედ ქამარ-ხანჯალი!

— რამოდენაა! ბრტყელი ხანჯალი სჯობიაო, ფართე გზას მისცემს სულს, მალე გამოუშვებს გვამიდან; წვრილი ხანჯლის ნაკვალევიდან ძნელად ეტევაო სული. მინდა გავალესინო.

— ვერ გამიგია შენი სიტყვა.

— ღამღამე დავდივარ და ხომ იცი, ტატო ყაჩაღი დათარეშობს, თუ დამხვდა, არას დაუთმობ.

— შენ არ დაგეცემა: იცის, ვის ხელშია ოქრო გროვილი, მიუგო დედამ.

და გაიფიქრა:

— კი არ გადამერიოს ბიჭი. ღმერთო დამიხსენ!

მისი ფიქრი დარდად გადაიქცა, როდესაც ერთხელ შემოვიდა ვაჟი მეტად ღელვილი.

— რამ გადაგრია, ბიჭო? თვალებს აფეთებ; ქშინავ, თითქო ურბენიაო.

— აჩქარებით ვიარე. ყაჩაღ წულუკიძეს კიდევ მოუკლავს კაცი.

— შეჩვენებელი!

— შენა გგონია, მდიდართ სისხლში აწრთობს თვის ხანჯალს?

— მე რა ვიცი, შვილო?! ჯვარი აქავრობას!

ამოიღო ხანჯალი, ფხა გაუსინჯა, ლამპარის შუქზედ აალაპლაპა.

— დედი, დედიჯან! აბა დააკვირდი ვერაფერს ამჩნევ?

— ხანჯალია აალმასებული. სხვა რა უნდა შევამჩნიო?!

— სისხლის ფერი არ დასცემს ფოლადს?

— რას ჰბოდავ, ბიჭო?! გულს ნუ მიხეთქავ!

ჭამეს ვახშამი. დედაკაცს ძილი არ მიჰკარებია. როცა



**ჰენრიხ ჰეინე.**

**გარდაცვალებიდან 70 წ. შესრულების გამო.**

ვაჟმა დაიძინა, ადგა დედა, მიუახლოვდა, შეულოცა კელეპტრები შემოავლო, შეევედრა, მოწყალების თვალით შეეხედნა მის ოჯახისთვის. დაემშვიდებინა ღელვისაგან აფურთქვნილი გონი ვაჟისა.

დილით ილო ადრე ადგა, ჩაიცვა სამუშაო ტანისამოსი და წავიდა დუქანში. სადილობამდინ აღარ დაბრუნებულა. მუყაითად მუშაობდა. ნაღვლობდა, ბევრი შემოკვეთილი საქმე დაბანდებულაო ჩემს უქმად ყოფნაში. ბინდისას აალაგა სამუშაო, დაკეტა დუქანი, დაბრუნდა სახლში. დედას ძლიერ გაეხარდა:

— გასჭრა ჩემმა ლოცვამ, გონება დაუბრუნა გატანჯულ ვაჟკაცს.

ჩაის შემდეგ ჩაიცვა საგარეო ტანისამოსი. დაიმშვენა წელი ქამარ-ხანჯლით და გაუდგა.გზას.

— ცოტას გავივლი, დედი; მალე დავბრუნდები.

— კარგი, გენაცვა!

გადაიარა ხარაზხანაზედ, გაიარა ბაზაზხანა და შედგა ყაზაზთ დუქნებთან. ბოლთასა სცემდა. ჩამოიარა პავლემ, მორთულიყო. ბაღდადი ეჭირა ხელთ გატენილი. ილო შორიახლო აედევნა მას მერმე გადუხვია და გაასწრო. გასცდა ქალის სახლს. კვლავ შემობრუნდა. არხეინად მოაბიჯებდა. გამოჩნდა პავლე. შეუხვია დანიშნულის ბინისკენ. ილო ელვის სისწრაფით გადახტა მისკენ და მისცა ხანჯალი გვერდში, გაახედა მეორე მხარეს. გაისმა ღრიალი საზარი და იქვე ჩასწყდა. მკვლელმა უშვა ხელი ხანჯალს. უნდოდა გაქცეულიყო, მუხლი არ გაჰყვა, წვივები ტყვიით რი და იქვე ჩასწყდა. მკვლელმა უშვა ხელი ხანჯალს. უნდოდა გაქცეულიყო, მუხლი არ გაჰყვა, წვივები ტყვიით ავსებოდა. ჩაიკეცა, ჩამოჯდა ქვაზედ, გამოცვივდნენ, გამოანათეს. გამოვარდა თვითონ მანანო.

— შენ მოჰკალი, შე უბედურო?

— რა მომივიდა! წარსთქვა ხარატმა.

და ჩაჰკიდა საბრალოდ თავი.

ვასილ ბარნოვი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცხრათა ხსოვნას

1905 წელს,, დღენი დასვთლოდა. 1906 წელი, თანდათან უახლოვდებოდა და შეცვლას უპირებდა.

შუალამე გადავიდა. ბუნების კანონის თანხმად, ძველმა წელმა სული დალია და ახალმა წელმა მისი ადგილი დაიჭირა.

თვალები გაახილა და დაინახა ნაძლადევი: ეს მუშათა უბანი, რევოლიუციის კერა და ბუდე, რეაქციონერებით იყო გარემოცული.

შავი რაზმი, შავი ყორანივით თავს დასტრიალებდა და დასჩხაოდა!!!

მუშათა რევოლიუციონერი რაზმებიც, შეიარაღებულნი, ყველგან და „ხუდდოვის“ ტყეშიც, გასულიყვნენ და სდარაჯობდნენ: რომ შავი ძალებისთვის, შავი ფრთები შაეკვეცათ და მოსალოდნელი თავდასხმა აეცილებიათ...

„ნაძალადევის“ ქოხმახობაშიც, ყველას ეღვიძა. თუმცა სინათლე, არც ერთ ფანჯარიდან არ გამოდიოდა: მაგრამ სიცოცხლე მაინც სდუღდა. მათი ყოველივე წამები და წუთები, ახალ-ახალ ამბებით იცვლებოდა!..

მოელოდნენ თავდასხმას: ჟანდარმებისაგან, გადაცმულ მუშა ჯაშუშებისაგან, შავრაზმელ ხულიგნებისაგან და ყაზახ-პლასტუნებისაგან.

მღელვარება იყო გამეფებული და მზად იყვნენ, დასახვედრად.

ცხრააას მეექვსე წელი, სულ სხვა ელფერით მოგვიახლოვდა: უნდოდა შავი ცხოვრებისთვის, თეთრი ზეწარი გადაეფარებინა.

იმ ღამეს თოვლმა დენა დაიწყო. თვითოული ფერფლი, მსხვილ პეპლებს მოგაგონებდათ.

ღამე გატყდა, განთიადისკენ მძლავრად გადაიხარა.

პლასტუნებმა, „ნაძალადევს“ აღმოსავლეთის მხრიდან წამოუარეს; საიდანაც ნაძალადევის მცხოვრებთათვის, მზის დაბნელებას ლამობდნენ...

რა შემოვიდნენ ხუდადოვის ტყეში, ჯერ არ გამოეტანებინათ, რომ წინ გადაელობნენ თავგანწირული რევოლიუციონერები, სადარაჯოზე მდგომნი მშრომელთა კერის დამცველნი.

ორთავე მხრიდან თოფებმა დაიგრიალეს, ერთმანეთს ცხელი ტყვიებით მიესალმნენ, ცეცხლიანი ტუჩები უხვად ტყვიებს აფრქვევდნენ, გაჰქონდათ ზუზუნი.

ბევრი მათგანი უბრალოდ იფანტებოდა. ქალწული თოვლის ფიფქში სცვივოდა, იმალებოდა, გრილდებოდა.

ზოგ-ზოგი მათგანი, ადამიანს ეკვეთებოდა, სხეულს უცხრილავდა.

შეძრწუნდა ტფილისის მუშათა უბნები, განადგურებას მოელოდნენ საუკეთესო შვილები, მტარვალებს ებრძოდნენ.

თეთრი თოვლი უმანკო სისხლით იფერებოდა.

აგერ განთიადმაც მოატანა.

ბრძოლა შესწყდა.

ყველაფერი მინელდა.

თეთრი მანდილით მორთული, რევოლიუციონერთა სისხლით შეფერადებული, ცხრაას მეექვსე წელი წარუდგა ისტორიის სამსჯავროს, აღშფოთებული!..

სისხლიდან დაცლილი, გვამები, „ხუდადოვის“ ტყის ხევ-ხუვში ეყარა.

თოვლმა დენა მოუხშრა, ცდილობდა მებრძოლთა გვამებს თეთრ სუდარად გადაჰფარებოდა; მაგრამ დაცემისთანავე ფერფლი წითლდებოდა, სითეთრეს ჰკარგავდა და მამხილებელი ხდებოდა.

რეაქცია გახელებულიყო...

ქუჩებში მთვრალი, ხულიგანი შავრაზმელები, მრავლად დაიარებოდნენ.

რევოლიუციონერები დაკარგულ ამხანაგებს დაეძებდნენ.

დამარცხებული რევოლიუციონერნი, მაინც ამაყად და მხნედ მოქმედებდნენ.

სამაგიეროს მიზღვევას პირდებოდნენ... იმედი ათასკეცობდა...

ცხრა ამხანაგის უსულო გვამი, კუბოში მდებარე, „ნაძალადევის“ თვალსაჩინო ალაგას ეწყო ჩარიგებული.

მუშები სათითაოდ მუხლს იდრეკდნენ იმათ წინაშე და ერთგულებას ეფიცებოდნენ.

რეაქცია გამარჯვებას დღესასწაულობდა, მშრომელი ხალხი დაკარგს არ გლოვობდა, ის გამარჯვებაზე ოცნებობდა, თუმც შავი ყორნები, ამაყად თავს დასჩხაოდნენ!..

ზიზღი ფრთას შლიდა ბალღამი ზღვავდებოდა სისხლი, სისხლს თხოულობდა იმედი ათასკეცდებოდა.

ცხრა ძმა ერთ სამარეს მიაბარეს, საბოლოვო გამარჯვება აღუთქვეს. ალტაცება და სიყვარული მომავალ ბრძოლის თან ჩაატანეს.

შაქრო ნავთლუღელი.

# არსენ ჯორჯიაშვილი

ვიგონებ დღეებს: ზღვა ამბოხებით.
სისხლის კვირეებს გათეულს კარში.
წმიდა კუბოებს მუშების მხრებზე
დასვენებულებს მწარე ავდარში.
ვიგონებ ბრძოლით: გაჩეხილ მკერდებს
ნათელ სახეზე ვაჟურ ღიმებით,
უკანასკნელ შვილს სწირავდა დედა
სხვა მშობლიური აქვითინებით.
ვიგონებ თბილისს: უძირო ქვაბში
ასაფეთქებლად იწყობდა ნაღმებს,
ქარხნის მილები შავ ლაფშებიდან
აქცევდა დამწვარ ბოლს ამონაღებს.
რკინის მკლავები მოჭრილ ხეებად,
ქარის ზუზუნში ხარბად ცვიოდა,
ჯორჯიაშვილი ცივ მეტეხიდან
დალუპულ ძმებზე მტკვარს მიკიოდა.
მთვარე გამშორდი გმინავდა იგი.
ნუ კონავ ტალღებს თეთრი კედებით.
ხედავ: ტყვიები სიკვდილს არიგებს
გვირაბებიდან თავ-გამეტებით.
მთვარევ ნუ ფიქრობ, რომ ცა შეგრჩება
მარად გულ-ღია ნახავერდები.
მე დამინახავს ღრუბლების ჩვრებში
შენი თვალები შენავედრები.
და ისევ ქარი აბნევდა ღილებს
და ცივ მეტეხში ცრემლად ცვიოდა,
ჯორჯიაშვილი მკერდ-გაჩეხილი
დალუპულ ძმებზე მტკვარს მიკიოდა.
ბომბავ ვნებით აგიტაცე
  მოგწყვიტე მკლავებს
დროს ვზომავდი დაღლილ ცაზე,
  ვთვლიდი ვარსკვლავებს.
ვინ მეძახის დაჰკრა ზარი
  ციხის საათმა,
და სიბნელემ გაბრაზებით
  ღამე ამართა.
გადავიდა შუა ღამე
  ტიალო მთვარე,
შენ ბავშივით ნაღიმები
  მთას მოეფარე.
დარჩი ჩემთან—ჩემო გულო
  გრძელია ღამე,
ცივი ქარი აბარგული
  დაგმარხავს სადმე.
გულო! გულო! ნუ მშორდები,
  მცივა მაჟრჟოლებს,
ღარიბ ქოხში მოშორებით
  გამომიგლოვეს.
უკანასკნელ სულში კოცნას
  გიგზავნი დედა.
შენ დანთებულ ცრემლის კოცონს
  ციხეში ვხედავ.
ზუის ციხის თავზე ქარი
  ვლუნავ ბორკილებს.
  ციხევ ფიქრო—ფიქრო მწარედ
  რად დაიკივლე.
ჯალათს უხმობ, იგი გმინავს
  პარავს, ძილს თვალებს.
რაზე შფოთავ. დაიძინოს
  ნუ გააწვალებ.
გამოცალე ციხე ღელვა
  თითქოს გაციებს.
სახრჩობელა ვერ დამღალავ
  თოკი ასწიე.
ვინ მეძახის. დაჰკრა ზარი
  შენმა საათმა.
ცამ მტრედისფერ კარებიდან
  გადმოანათა.

გიორგი იაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჩინეთის ამბებისათვის





1) ჩან-ძო-ლინი.

2) ჩან-ძო ლინის ჯარებში მყოფი რუსი თეთრგვარდიელები.



# სული ამბოხი

(პოემა)

ქალაქ სიმბირსკში,
ვოლგის ნაპირად,
ერთ სახლის ჭერქვეშ
მყუდროთ, უბირად
სცხოვრობს ილია
რუსის ოჯახი.
მოწყობილია
სადათ ოთახი,
ორი, თუ სამი,
მაგრამ კი სუფთად,
უბრალოდ დგამი,
უბრალო სუფრა,
სასმელ-საჭმელიც
მუდამ უბრალო,
და მუშა ხელიც
კენტი, პიტალო,
ოჯახის მამა,
მარტო ილია,
ჯალაბს კი ჭამა
დიდი სჭირია,
თუმც ეხმარება
ცოლი, კეთილი,
და ედარება
ეს ორი წყვილი
ერთ დიდ უღელში
ნებით შებმულებს:
ქმარს ხელით-ხელში
ცოლი ერთგულებს,
და ზრდიან შვილებს,
მომავალ გვრიტებს,
ვაჟ-ქალიშვილებს,
სიცოცხლის კვირტებს...

—:—

ოჯახათ, თვისით,
ჩვენი ილია,
იმ თავით ვიცით,
კმაყოფილია.
აქვს პროფესიაც,
ვით თხოვს რიგი,
უკეთესია
ყველაზე იგი,
როცა მომავალს
უზრდი მთელს წყებას,
ალუხელ მას თვალს,
უნერგავ მცნებას,
ვითარს კეთილი
მებაღე ნერგავს!
ეს გაკვეთილი
სხვას არა შეჰგავს...
იგი განაგებს
სახალხო სკოლებს,
ასწავლის, აგებს,
უწინამძღოლებს
ხალხს, ჩაგრულს, ტანჯულს,
ხალხს, ღარიბს, უბირს,
თან ჰგავს მართლ-მსაჯულს,
და არ თუ სიმბირსკს,
მთელ ვოლგის მხარეს
ღირს ცნობილია
ხალხის მოყვარე
ჩვენი ილია!..

—:—

კეთილ ხეს მოაქვს
თესლიც, კეთილი!
თითქმის კანონს ჰგავს
ეს გაკვეთილი.
როს ამ თქმას ვბედავთ,
ჩვენ ის გვაკაუებს,
რომ აგეთ ვხედავთ
ილიას ვაჟებს!
შვილი გაუჩნდა
ილიას მრავლად;
მათ მოვლა უნდა:
აღზრდა და სწავლა,
და არ ეშლება
ამაში ხელი.
მცირე შეძლება
საქმის შემშლელი
ვერ არის, ვისშიც
გული კი გულობს,
თვით ზამთრის ნისლშიც
ტკბილ-გაზაფხულობს,
ილიას სახლში
მშობელთა გული,
იზრდება მასში
რა თაიგული
ჯერედ პატარა
მათი ჩიტების!
გული—ანკარა,
სული—დიდების
თითქოს შთაბერა
შვილებს მამამა
და გამოჰკვერა,
გაათამამა!..
ის იცნობს კარგათ
ცხოვრებას—ბრძოლას,
და სთვლის მეტ ბარგათ
თვით შვილთა ყოლას,
თუ ბრძოლისათვის
ვერ იზრდებიან,
თუ შავი დღის წინ
უცბათ დრკებიან,
თუ თავს ვერაფრით
ისახელებენ,
თვალებს ცრემლის ღვრით
დაისველებენ,
გაეგებიან
ფეხებ-ქვეშ მტერთა
და ედრებიან
ქვეყნის ძლიერთა
მონა-მორჩილებს
და მაჩანჩალებს...
ფუ, ასეთ შვილებს:
ვაჟებს, თუ ქალებს!
არა ღირს აღზრდაც
ასეთი წყების,
მათ, ტანჯვის გარდა,
არ რა მოჰყვების!..
ქმრის აზრისაა
ილიას ცოლიც.

*) იხ. „დროშა" № 4.

საქმეც ისაა,
როდესაც ტოლი
და ამხანაგი
გყავს, სანდო, მხარში.
ვით მწყობრი ჩანგი
დარს, თუ ავდარში
აქ ამ ცოლ-ქმარის
მძლეა ჰაპანი
და ღირსიც არის
შრომის საგანი!
ყველაზე წინ სდგას
უფროსი ვაჟი.
ის სულით ცეცხლს ჰგავს
და გულით კაჟი,
დების და ძმების
სულის დგმა—სანდრო,
ამხანაგების
სიმხნეა, სანდო;
დედის ალერსი
და თვალის ჩინი,
მამის ნაკვესი
და ბრძოლის ქინი;
მხნე და მედგარი,
გამრჯე, ჭკვიანი,
ჩაგრულთა ფარი,
თავაზიანი!..
და, განა, მარტო
არის აგეთი?
პატარა ლადო,
ეს ციცქნა ერთი,
და—ძმათა თვალი,
დედ-მამის გული,
მთვარეა, „მცხრალი“
და გაბადრული,
შუბლით მაღალით
და განიერით,
ლაღი მერცხალი
თვალის იერით,
და მერცხალივით
მოუსვენარი,
ვოლგის წყალივით
ტალღა—კენარი!..
ამ შედარებას
იწვევს ის ფაქტი,
რომ მდინარებას
ბავშთა ოთახი
თავს დაჰყურებდა
მდინარე ვოლგის...
ქვეშ მქუხარებდა
ხმა ზვირთთა ბორგვის;
მოჰქუხდა ტალღა,
დაჰფრენდა ღალღა
და ღრენდა ქარი,
როგორც აფთარი...

—:—

იქ, სადაც ტალღას
ვოლგის წყლის, მდორის,
დაბალ და მაღალ
ნაპირებ შორის
ნელის დუდუნით
მისდევს სხვა ტალღა,
ჰაერს ზუზუნით
მიაპობს ღალღა,—
არის ზამთარი,
მკაცრი და ცივი...
მოსივის ქარი
და წყალზე ტივი
ზევიდგან—ქვევით
მოედინება,
თითქოს ზედ რწევით
ყრმას ეძინება,
მოსძახის ნანით
დედა—არაკებს,
გამძლე ჰაპანით
შავ-შავ ბურლაკებს
მოაქვთ, ვით ტვირთი,
ეს დიდი ტივი...
ცივია ზვირთი,
და ქარიც—ცივი...
ნამჯის კონკებში
გამოწყობილი,
იბრძვის ავდრებში
აქ შრომის შვილი,
შვილი კი არა,
ის არის გერი!
მკერდზე იარა,
ზედ—შავი წყერი,
და თმებიც შავი,
როგორც ბულული,
ვით ქოხის თავი,
გადმობურული...
ეგ ყოფნა—ტანჯვა,
გაუხარელი,
ძალ-ღონის ხარჯვა,
დაუზარელი,
და შრომის ფასად—
პური და წყალი,—
ერთი ათასად
არს შესაბრალი!..
მაგრამ ვინ არის,
რომ შეიბრალოს?
ის მსგავსად ხარის
უნდა ეწვალოს,
უნდა ათრიოს
მან ეს ხის კუნძი,
ალამ—ათიოს
ცხოვრება, ძუნწი,
სანამ სამარე
არ მიიბარებს...
ქარიც შლის მწარე
იმათ სიმღერებს
და სახლში ბავშვთა
როს ეძინებათ,
ეგ ხმაც ნანათა
მათ ეფინება!..
ვით ანარეკლი
ტანჯულთა ყოფის,
ვით გზა ნარეკლის,
წამების, შფოთის...
გაუხარელი
ცხოვრება მათი,
არს გულის მკვლელი
შავი სურათი!
დღეს ვოლგის ველად
ამ ბურლაკების,
ისე, ვით ძველად—
ავაზაკების!.
ცხოვრებამ ამ მხრით
იცვალა სახე
და სულ სხვა სახით
დააგო მახე,
ჩაგრულთა მასში
გამოსამწყვდევათ,
ნაღველს და ძმარში
ოფლის სანთხევათ!..
და ისევ კვნესით
აივსო ქოხი,
და ხმლისა ლესით
„სული ამბოხი“,
აღშფოთდა ისევ,
გზის იწყო ხაზვა
და მტერზე მიმსევ
ძალების რაზმვა...
ღელავს ქალაქი
და დრტვინავს ქუჩა.
წუმპე. ტალახი,
რკინასთან, თუჯთან,
სჩანს, ვით ერთის მხრით—
უსაზღვრო შრომა
და, ნაცვლად, იქით—
ტკბილი განცხრომა...
ჰა, ისევ ჩაგვრის
ახალი სახე!
ყვლეფის და ძარცვის
სხვა გვარი მახე.
აი, ბაზარი!
აქ უსვრის ხალხი...
თვალი—მწყაზარი,
სამოსი—თალხი.
მოდიან, მოაქვთ
მძიმე გოდრები...
სახეზე—ნაკვთი,
ხელზე—კოჟრები...
დაჭიმულ ძარღვებს
დაჰკრავს სილურჯე,
ღიმილი—ჩარბებს,
პირს კი—სიმუნჯე!..
მკლავ—ძაგრიანი
შრომის მაყარი,
არის ფხიანი,
არის მაგარი,
როგორც ფოლადი,
ან როგორც—თუჯი:
მხნე და გულადი,
მაგრამ თან მუნჯი!..
ის ასე ხოხავს
და დაფუსფუსებს,
და მდიდართ ოჯახს
განცხრომით უვსებს,
რომ სდგას, ვით ძალა
წინააღმდეგი:
მოითხოვს ღალას
ტლანქი და შლეგი!..
და მოაქვთ პური,
მოაქვთ თევზები...
სხვა სამსახურიც—
უარესები! .
და რომ გაჰყურებს
მათს დიდს დარბაზებს,
თითქოს ნიშს უგებს
და მით აბრაზებს,—
ამაზედ ქოხი
სდგას გულმოსული,
მასში ამბოხი
უშრეტი სული
ბობოქრობს ისევ:
გზისა მხაზავი
და მტერზე მიმსევ
ძალთა მრაზმავი...
აწ მას ვერ იტევს
ვოლგის აუზი,
იგი შორს უწევს:
ბევრი მთის კუზი
მან აქეთ—იქით
შორს გადალახა,
და გულში ფიქრათ
რაც განიზრახა,
მიაქვს და მოაქვს
რისხვა, თუ ცეცხლი,
როგორც მხვნელ მთესველს
მინდორში—თესლი!..
და თესლი იგი
ჩვენშიც მოვიდა,
ვით ტანჯვას—იქით,
სადღაც გლოვიდან!..

—:—

მკაცრ გეგმებს სთხზავდა
ღარიბი ქოხი,
ზღვის მძაფრ ფიქრს ჰგავდა
„სული ამბოხი“
დაძრწოდა ქარათ
ვოლგის მინდვრებში,
მეხათ, თუ ზარათ—
ურალის მთებში,
შუა რუსეთის
გაშლილ ზეგანზე,
დაბალ სამხრეთის
სიგრძეს, თუ განზე,
კავკასის მთებში,
თუ აქეთ, ბარში,
შავ ზღვის ზვირთებში
ნისლსა, თუ ქარში,
დონის აუზსა,
მაღაროებში,
სირტის—მთის კუზსა,
თუ ღარდოებში,
ევროპის ქვეყნებს,
იმის ქალაქებს,
მთებსა, თუ მინდვრებს,
გზებსა, თუ ქარხნებს,
ყველგან, ყოველგან
გზა ედო იმას,
ელოდენ მისგან
ცეცხლოვანს წვიმას!
ის მიმოქროდა,
როგორც ბურანი,
შფოთავდა, ძრწოდა
მისგან ურალი,
და იქნა იგი
გადალახული,
დიდი ტაიგა,
წვერ-გაფახული,
ციმბირის მხარეს
რისხვით დრტვინავდა

და ცრემლს მწუხარეს
თვალთ აყინავდა...
ძრწოლით და შიშით
დაახშო სმენა,
და ოქროს ქვიშით
მდიდარი ლენა
რიჟრაჟის ფერმა
სისხლმა გაჰბანა:
ჩაგრულზე მტერმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმართა დანა,
და ჩაგრულმა კი—
სიმწრით ნაკერი
დროშა, საკუთარ
სისხლით ნაფერი,
ბაფრიალა
ჰაერში რხევით...
დაიჩხრიალა
კრუღვით და წყევით
მილიონ ხილზე
ბორკილმა რკინის...
და ბრძოლის ველზე
წინ ტევის ჟინის
ფაფარ აყრილი
გამოხტა ლომი:
დაირღვა ძილი...
დაიწყო ომი...

—:—

დაიწყო იგი,
უკანასკნელი
ბრძოლა, სასტიკი
და გადამჭრელი,
მხოლოდ ჯერ-ფრთხილად
და ანგარიშით,
ხმალ—ამოწვდილად
მტერს იერიშით
აწვება გუნდი
თავ-დადებულთა,
იმსხვრევა ხუნდი
დამონებულთა,
მაგრამ ახალიც
კვლავ იჭედება!..
აქ კაცთან—ქალიც
კი რიგში დგება,
ვისაც აქვს გრძნობა
კეთილ-შობილი,
ჩაგრულთა ძმობა
გულს უცემს თბილი,
უსამართლობით
ვინც იტანჯება,—
ის ხმლით და თოფით
მტერს ზედ აკვდება,
და გზას უკაფავს
მომავალს წყებას.
მტერი სულს ღაფავს,
და შურის გების
თუმც ხმალს ეგება
დამსახურებით,
მაინც არ დრკება
და მავთულებით
უნდა შ.აოჭოს,
შეჰხუთოს „მხეცი“:
ის მყოფადს ეჭვობს,
ისეა ბეცი!..
მაგრამ მომავალს
რა შეაჩერებს?
ცეცხლებრ აგზნებს თვალს
და ათრთხობს მტრებს!..
ასტყდა გრიგალი
ხმად ბროლის ცოფის,
აიჭრა ალი
სანიშნო თოფის:
მეფეს ესროლეს
ტყვია, პირველი,
შეაჩოჩქოლეს
გარს ბრძოლის ველი,
ცაში ავარდა
ამბოხი ცეცხლი!..
მეფე გადარჩა,
ხოლო ის მსხვერპლი,
პირველი, კვდება!..
ლხინობს ჯალათი:
სისხლმა შეჰლება
შრომის ხალათი!..
დიდია მისგან
შთაბეჭდილება,
რადგან ამ დღიდგან
გამოცდილება
მებრძოლთა რიგში
უფრო მკვიდრდება
და „ყოფნის წიგნშიც“
სიტყვა მდიდრდება...
და მას რა ჰქვია,
ვინ არის მსხვერპლი
ვისგანც მტერს ცეცხლი-
პირველი ტყვია—
ექვეთა სუსტად,
მაგრამ ფხიანად,
და არა მუქთად,
სარგებლიანად?!.
მისი სახელი
ალექსანდრეა!
იგი იმ ქველი
ილიას ძეა,
ვინც რომ აღზარდა
გმირი შვილები,
და რომ უყვარდა
მას ჩაგრულები,
მათი ხსნის ცეცხლიც
გულს აღუბეჭდა!..
მსხვერპლი, რა მსხვერპლი?
იკურთხოს დედა,
ვინაც აღზარდა
ასეთი გმირი!
დედავ, გიყვარდა,
მაგრამ ნუ სტირი!
მან ხალხის გულში
დაიდგა ძეგლი,
დაეცა ხნულში
ის, როგორც თესლი,
„თესლი—კეთილი“
და მშვენიერი,
გულ-დაფლეთილი,
ნაყოფიერი,
და მიმზიდველი
ციხე-ბეთქარი,
მსხვერპლი, „პირველი“,
მაგრამ მედგარი!..

—:—

მოხუცი მამა...
მოხუცი დედა...
არც სმა, არც ჭამა...
ოჯახში—სევდა!...
ძმის გულში-გმინვა!..
დის თვალზე—ცრემლი...
მხოლოთ, ვით ყინვა,
ვით ცივი გრდემლი
ძმის დამკარგველი,
ერთგული, სანდო,
ძმა, საყვარელი,
უმცროსი, ლადო,
მძიმე ფიქრებით
დანაბურალი,
სდგას, ვით ღრუბლებით
ზოგჯერ-ურალი,
როგორც—მონბლანი,
თუ—ევერესტი!..
მას დიდი პლანი,
გარდასაწყვეტი,
საბედისწერო,
გულს ესახოდა!..
და...
...ცაში წერო
რომ ეძახოდა
თავის გუნდს, ეს ხმა
მას მოეყურა,
რომ უხმობს მას ძმა
ხალხთ სამსახურად!..
და მის ნორჩ არსში
ცეცხლოვან გზნების
ფრთებსა შლის რაში,
ხმით შურის გების!..
ამ ხმამ ცის არე
შორს გადასერა
და ფიქრი, მწარე,
იქ დაეძგერა
ყველაზე ძლიერს,
ჯერ კვლავ ურყეველს,
ღვთის ტახტს, ზეციერს,
და სასუფეველს:..
მაგრამ გაინგრა
ის ზღუდე, ჩიხი,
და წინ დაიძრა
კვლავ შვების ფიქრი!..
მის წინ ვით რუკა,
იდო ევროპა,
როცა ჭაბუკმა
ფიქრში შესტოპა!..
და ის არ იყო
ფიქრი, უბრალო!..
ნისლი გადიღო
შუბლმა, პიტალომ,
ქვეშ წყვილმა თვალმა
დაჰკვესა ცეცხლი,
და „შთანთქა ალმა
ახალი მსხვერპლი“!..
კვამლის კი ასცდა
თვით ზეცას სვეტი!..
ასე გადაწყდა
გარდასაწყვეტი
და ასე შესდგა
„დიადი პლანი“!..
მზის სხივმაც ჰფეთქა!
და ქვეშ მონბლანი.
ციალა სხივით
გადაისერა...
და მძიმე ტივით
გამძლე სიმღერა
ბურლაკებისა
ამცნობდა სივრცეს,
რომ გზა-შვებისა
მათ განამტკიცეს
მით, რომ ხმა მათი
დიდრონ ტვირთებთან,
ბრძოლა, კამათი
ვოლგის ზვირთებთან,
სასტიკ ქარიშხლად
აწ აიშალა
და ქვეყანას ვრცლად
მოედო ძალა,
ძველი ცხოვრების
მნგრევი და მრღვევი!..
დღეს ელის შვების
ცხოვრების ხევი,
რომ დღემდის უცნობს
ჩაგრულთა მხსნელად,
ძმა—მსხვერპლი—უხმობს—
ძმას—ჩაგრულთ ბელადს!..
ამ დღიდგან ლხენით
ივსება ქოხიც
ცეცხლოვან რწმენით
„სული ამბორიც“
ფრთებს შლის: გზის ისევ
განაგრძობს ხაზვას
და მტერზე მიმსევ
ძალებსა რაზმავს!..
და ვით სიმები
მომართულ ჩანგზე,
გაისმის ხმები
აწ ბრძოლის ჰანგზე!..

—:—

„ჩვენ ვართ მჭედლები,
შურს ვანთხევთ ცრემლზე,
სისხლი და ძვლები
რკინათ სდუღს გრდემლზე,
ცხოვრება, ძველი,
არ გვსურს, ვაგლახი,
და მოდის მხსნელი,
ილვიძებს ხალხი!
სამეფო—შმორის
განადგურდება,
სამეფო—შრომის
დასადგურდება!
მაგრამ არ გვარგებს
მის მხოლოთ ლოდნა,
ჩვენ ვაწრთობთ ძარღვებს,
წინ გვიძღვის ცოდნა!..
ცეცხლის გუგუნში
ვსჭედავთ მომავალს,
არ ვტირით „გუშინ“-ს,
წარსულს, წარმავალს,
ოფლის წვიმაში
ვალბობთ ცხელს რკინას,
და რწმენით ხსნაში
რაზმს მივსდევთ წინას!..
ჩვენ არ მოვაკლებთ
ქურას ცეცხლისალს

ლაჩრებს ვამხნევებთ,
ლაჩრებს ვამხნევებთ,
ვაღვიძებთ მძინარს,
მაშვრალთ ტვირთმძიმეს
ვუქრობთ სიმწარეს
და მოციმციმეს
ვქმნით ახალს მხარეს!
მემკვიდრეც ხვალის
იმიტომ გვქვია,
ჩვენს გულმკერდს, რვალის,
ვერ ატანს ტყვია!..
ჩვენ ვართ მჭედლები,
შურს ვანთხევთ ცრემლზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლი და ძვლები,
ჩვენი, სდუღს გრდემლზე,
ცხოვრება ძველი
არ გვსურს, ვაგლახი,
და მოდის მხსნელი:
ილვიძებს ხალხი!...“
და ამ სიმღერით,
ამ დაძახილით,
წინსვლით, ძლიერით,
მაგრამ თან—ფრთხილით,
გუნდს მოსდევს—გუნდი,
თავ-დადებულთა,—
იმსხვრევა ხუნდი,
დამონებულთა,
და ძლიერდება
მათი ლაშქარი!..
სჩანს არ ჩადგება
დღეიდგან ქარი,
სანამ ყოფნის ზღვა
არ ასტეხს ღელვას
და ზედ „ცის რისხვა“—
ქუხილს და ელვას,
რომ უქნას სარმა
შავბნელ სამყაროს,
ზედ ნიაღვარმა
გადიხარხაროს,
და გადაჰრეცხოს
ქაფით,ტბორებით,
ქვეყანა, ძველი,
ანაშმორები!..
ხი, რათ დრტვინავს
წახრილი ქოხი!
მეხივით გრგვინავს
„სული ამბოხი“!
ის შფოთავს ისევ,
ბრძოლის გზებს ხაზავს
და მტერზე მიმსევ
კვლავ ძალებს რაზმავს!..
ახალი ქალის,
ახალი ვაჟის,
მთა სდგება ძალის,
უმაგრეს კაჟის!..
და ამ ქალ-ვაჟში
„ამბოხი სული“
ვით ცეცხლი—კაჟში,
არს ჩანასკვული,
ვით „პეტერბურგში“
ცხრა იანვარი,
მძიმე ჯვრით ზურგში
და სისხლის ღვარით!..
ქუჩებში ხალხი:
დედა, ბალღები,
გლოვა და თალხი...
სისხლთან—ძაღლები!..
„პეტრე პავლოვსკი“...
ტრეპოვი... პლევე...
„მეორედ მოსვლის“
დღეს ელის ნევა!..
მოსკოვში სწრაფად
დაეცა სერგი...
ხმა ისმის ხაფად:
„ნიკოლოზ, შედრკი!..“
მოსკოვი... ლოძი...
გომელი... ლენა...
და არ ველოდით
უეცრად... სმენა.
—რადგანაც მეფეს
შეერყა ტვინი,
წინ მოაგებეს
ხალხს—რასპუტინი!..
დიდხანს იყბედეს,
ითრიეს ფეხი
და ბოლოს იგრძნეს,
რომ „გასკდა მეხი“
ევროპის გული
და სარაევო...
აოხრებული
სერბიის ტევა...
მაზურის ტბა და
კარპატის მთები...
კალე ვერდენი
და ვოგეზები...
ვენა... ჟენევა
და ამსტერდამი...
ილევა თნევა...
და დაჰკრა წამმა!

და... შეზანზარდა
სამყარო, ძველი!..
შეირხა ფარდა!..
და უძლეველი
გამოჩნდა რაზმი
მინდორზე ბრძოლის!..
წითელის ალმით
რაზმს—წინამძღოლი
მიუძღვის, მძლე და
ნირ—შეუხრელი...
იკურთხოს დედა,
მისი აღმზრდელი.
იგია გამრჯე,
მხნე და გულადი,
ჩაგრულთ მოსარჩლე,
მათი ბელადი,
მათსავე წრეში
აღმოჩენილი,
მათი ნუგეში,
მათი ლენინი!
მათთან შეზრდილი
ძმა, ამხანაგი,
ილიას შვილი
ლადოა აგი!..
დღეს ყველას თვალი
მისკენ უჭირავს,
მას ხელთ აქვს ხმალი,
ის ამ ხმალს ჰპირავს
და აელვარებს
იმედის მზეზე!..
ყველა მღელვარებს,
ყველას სახეზე
სიცოცხლის ალურს
გააქვს თამაში,
ხმას, მუსიკალურს,
ბრძოლის გამბაში
თუმც ხელს ეხვევა
ტყვიების სტვენა...
და დრტვინავს ნევა...
და გმინავს სტრელნა...
პირით ცოფსა ჰყრის
ვერაგი მტერი,
ის ქედს არა ხრის
და ბრძოლის ჩქერი
სურს ძირშივ ჩაჰკლას
ცეცხლით და რკინით!
სხვა, აბა, რა ჰქნას?
მთვრალია ჟინით!..
იყო კერენსკი
და კორნილოვი,
იუდენიჩი,
კოლჩაკ-ვრანგელი,
მაგრამ არც ერთი
არ დარჩენილა,
როცა დაეცა
უკანასკნელი!
ასე დემხო
ძველი სამყარო,
თუმც სდგას კვლავ მისი
ნაპარტახალი,
მაგრამ ძველს უკვე
წაერთვა თესლი
და ოქტომბერით
იშვა—ახალი!
ოცდა ხუთს ღამით
ასტკივდა საშო
და დილით იყო
ვაჟ—შეძენილი,
ილაოს ტანჯვით
გამწარებული.
მკერდ—ნახოკი
და სისხლ—დადენილი...
მოგვთა და ბრძენთა
ნახეს ნიშანი:
ცის ჩრდილოეთზე—
ვარსკვლავი, დიდი
ვით კრეტსამბელზე
ცის თაღში მშვიდათ
სჩნდა კანდელივით
გადმონაკიდი.
სთქვეს: „დაიბადა
სამყაროს მხსნელი!“
და ნახვა მისი
მოუნდა ყველას:
ქვეყნის ძლიერნი
ხვდებოდენ სამტროთ
ჩაგრულნი მასში,

ხედავდენ შველას!
ყველას ხიბლავდა
თვით გარეგნულად,
ხუთ ქიმიანი
ვარსკვლავის სახეთ,
თითქოს ქვეყნის მსხნელს
ცით შუქსა ჰფენდა,
თან აშინებდა:
„მოდით და ნახეთ!..“
და იყო უცხო
შესახედავათ
ცის ლაჟვრად თაღზე
ცეცხლის ბეჭედათ!
რომ სინამდვილე
არ ყოფილიყო,
ზღაპრული ფიქრით
დაგაეჭვებდათ.
ეჭვიც... ეჰ, ბევრის
გულს აღიბეჭდა...
ის კი უეჭვოთ
ეკიდა ცაზე!
დრტვინავდა ნევა...
გმინავდა სტრელნა.
და ჯანყი იდგა
ბალტიის ზღვაზე...
დაელოთ ხახა
ქარხნის საყვირებს
და უჩვეულო
აელოთ ტონი,
თითქოს ეს იყო
მეორედ მოსვლა
და ძრწოდა ძველი
იერიქონი!
მიწა ისროდა
ცისკენ მაშხალებს...
ეს საზეიმო
არ იყო ქცევა:
იმ უჩვეულო
ვარსკვლავის ციდგან
სურდათ მოსხლეტა
და ჩამოქცევა!..
მოვიდნენ მოგვნი,
სთქვეს: „დაიბადა!“
მათ ავ-განზრახვით
შეხვდა იროდი:
წადით, იხილეთ
ნორჩი და მისი
სამეფოც, მთელის
სანაპიროთი...
მოდით, მოუწყეთ,
რომ მეც ვიხილო
და მოწიწებით
ვუძღვნა თაყვანი“...
გულში კი ჰფიქრობს:
„ახალ შობილის
სისხლით შევღებო
უნდა აკვანი!...“
ეჰ, რამდენს ლახვარს
გადმოენთხია
უმანკო სისხლი,
ჯერ აუდუღი!..
სისხლის ღვარებმა
შეტბორეს ნევა...
ზღვას გასწვდა ცხელი
ოშხივრის ბუღი!..
„მეფის სოფლის“ მხრით
დაიძრა მტერი,
საბედისწერო
იყო მოწოლა!..
ასე დაიწყო
„უკანასკნელი
და გადამჭრელი
სასტიკი ბრძოლა“!..
ჩაგრულთ ბელადი
უჯდა ტელეფონს
და მსწრაფლ აძლევდა
ბრძანებებს, მკაცრებს:
გმირებს უნდოდა
წახალისება
და შეძახება
მშიშრებს და ლაჩრებს...
და მთელის ღამით
არ შეწყვეტილა
ტყვიის მფრქვეველთა
მკაცრი კაკანი:
თოფს—ზარბაზანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუძმობილდა
და მაუზერსა
კიდევ—ნაგანი...
დილაზე მტერმა
დასტოვა ველი...
ახ, რა ლამაზი
იყო ეს დილა!
და შემდეგ დევნა
გაქცეულ მტრისა
მწუხარის ბინდაპდის
არ შეწყვეტილა.
ღამით მან ტევა
კვლავ განაახლა,
ცეცხლში შეიკრა
ახალი წყება!
ეჰ, ვით იქნება
ამ ღამეების
ისე ადვილათ
გადავიწყება?!
პეტერ გოფის მხრით
გვცემდა ქვევითი
და გატჩინოს მხრით
კავალერია...
— აბა, მუშებო,
ბარრიკადებში!
— მეზღვაურებო,
თქვენი ჯერია!..
და ბრძოლის ველი
რომ ბობოქრობდა,
ეგ ზღვა ეგონათ
უკანასკნელებს:
სტვენით ხვდებოდენ
კავალერიას
და მკერდს უშვერდენ
ტყვიის მფრქვეველებს!..
ეჰ, ნევა! ნევა!
ბევრი სისხლის ღვრის
შენ ხარ მოწამე
და გადამხედი,
მაგრამ შეტევა
გულზვიად მტრისთვის
შენ არ გსმენია
უფრო თავხედი!
რა იყო მასთან
რაზინის ჯანყი,
ან პუგაჩოვის
ამბოხი ტევა?
ამ ისტორიულ
შემთხვევვის გამო,
თვით ვოლგაც შენს წინ
თავსა ჰხრის, ნევა!
შავ შარვლებით და
ლურჯ ხალათებით
მეზღვაურები,
ხელში თოფებით,
თავ-გამეტებით
უტევდენ მტერსა
და აწვებოდენ
გიჟ-გაცოფებით!..
ასე ეგონათ,
ომში კი არა,
ლხინში არიან
ღვინით მთვრალები·
მათი თოფები
მტერს—ცეცხლს აყრიდა
და—მწველს ნაკვერჩხლებს—
მათი თვალები!..
რა გაუძლებდა?!
აკი გასტეხეს
მტრისა სიმედგრე
და შემოტევა!
მსგავსი კვეთება
და გამძლეობა
ჯერ ქვეყნად არც შენ
გსმენია, ნევა!
ამბობენ, რომ ამ
სიმედგრისათვის
დღეს ყველა ჩვენში
სცოცხლობს ლენინი!
ეს თავისთავად
ნათელი აზრი
იმ ღამეს იქნა
აღმოჩენილი.
ბრძოლას ის თითონ
ხელმძღვანელობდა,
ვინც აუმხედრა
ძლიერთ—მონები:
მისგან იღებდა
ცნობებს რადიო
და წკრიალებდენ
ტელეფონები...
ის თითის ქნევით
სწერდა კანონებს
და მიაფრენდა
ავტოს—ავტოზე,
რომ იქ, სანგრებში,
სადაც უჭირდა,
მიშველებოდენ
თავიანთ დროზე.
და მთელს ბრძოლის ველს
იმ ბნელ ღამეში
მისი ელვისებრ
სერავდა თვალი:
მას მორჩილობდენ
ყველგან ტყვიები
და ტყვიასავით
ის იყო მალი!..
ეჰ!.. ქვეყნის ყველა
მთავარ სარდლებმა
იმ ღამეს მის ფერხთ
დაჰყარეს ხმლები:
მან უჩვეულო
მოიგო ბრძოლა
და გააფასა ყველა სარდლები!
და უჩვეულო
ბრძოლის ეს ცეცხლიც,
მასში იმ ღამეს
აღმოჩენილი,
ჩაუმქრალია
დღესაც ჩვენს გულში
და ყოველს ჩვენში
სცოცხლობს ლენინი!
სცოცხლობს ლენინი
და ოცდახუთი.
ვით ლენინგრადი,
და ოქტომბერი,
არ გვავიწყდება
ეს შავი ღამე
და ჩვენი დროშის
წითელი ფერი!..
არ გვავიწყდება
ვოლგა, ერმაკი,
სტენკა რაზინი
და პუგაჩოვი.
მათ ბევრი დასცეს
სასტიკ ბრძოლაში
ხალხის მჩაგვრელი
და სისხლის მწოვი!..
არ გვავიწყდება
„მსხვერპლიც პირველი“,
მსხვერპლთა რიგების
გამომწვეველი,
და თვალწინ გვიდგას
მთელი ცხოვრება,
როგორც უსაზღვრო,
წამების ველი!..
აჯანყებული
გლეხი კაზაკი,
ეს ავაზაკი
ვოლგის და დონის,
ქარხნის მუშები,
თუ ბურლაკები,
მძიმე ჭაპან ქვეშ
მცვეთელნი ღონის...
გარდახვეწილნი
აქსორიებათ
შორი ციმბირის,
ტაიგის, ლენის...
ლუკმა პურისთვის
ოფლის და ცრემლის
და ღელე სისხლის,
ჩამონადენის,
წითელი ბრძოლის
პიონერები,
ზღვა-მოძრაობის
შორი გუნდები!..
მერამდენეჯერ
ვახსენებ მე მათ!
და კვლავაც რამდენჯერ,
დავუბრუნდები!..
არ გვავიწყდება
ჩვენი გლეხობა,
ყოველთვის რწმენით
გამომზირალი!
ბაქო, ტფილისი,
ბათომი, ფოთი
ოზურგეთი და
ნასაკირალი!..
ცხრა იანვარი,
ცხრაას ხური წლით,
ოქტომბერით და
დეკემბერითა...
კვლავ თორმეტი წლის
უგულო ღამე,
მდიდარი შიგნით
ჩანგის ელერითა!
არ გვავიწყდება
არც თებერვალი,
„ჩვიდმეტი წელი“,
ივლისიანი!..
ბრძოლა სასტიკი,
შვების მკერვალი,
რწმენით სავსე და
ხალისიანი!..
არ გვავიწყდება
კვლავ ოქტომბერი.
ნევა, კრონშტადტი
და ლეინგრადი,
არ გვავიწყდება
ხანგრძლივი თნევა
და შორი ნატვრის
ახდენაც ცხადი!..
დღეს მთელი ქვეყნის
ჩაგრულთა უბნებს
ლენინგრადისკენ
უჭირავს თვალი,
სადაც პირველად
მიწიდგან—ცისკენ
საგამარჯვებო
აიჭრა ალი!
ქედს იხრის მის წინ
ეხლა კრონშტადტი,
იქ—პეტორგოფიც,
გატჩინო, პსკოვი...
ასე გარმტკიცდა
ჩაგრულთა ძალა
და ლენინგრადით
აღსდგა მოსკოვი!
აღსდგა მოსკოვი,
სად აღმასკომი
დღეს კრებებს მართავს,
კანონ—მდებელი,
და აწ მსოფლიო
დიდი კომუნაც
აღარ დარჩება
აუგებელი!
ამას ღაღადებს
უტყუვრად კრემლი,
და ადასტურებს
მას კომინტერნი!
და ბაბილონით—
მოსკოვისაკენ
განახლებულნი
ილტვიან ერნი...
მათ მოუწოდებს
„სული ამბოხი“!
მას უთხზავს ოდებს
ღარიბთა ქოხი,
და ბრძოლით მქმნელი
ქვეყნის, ახალის,
მტკიცდება ხელიც,
შემოქმედ ძალის!
გზა, მისწრაფებას
ამ ძლიერ ხელის!..
მით განახლებას
მსოფლიო ელის!
წინ ილტვის დროცა.
და დამამშვენი
მას უძლვის დროშა,
ილიჩო, შენი!..

ნ. ზომლეთელი.



1) ვოლხოვსტროის ამშენებლები პირველი მარჯვნიდან, ვოლხოვსტროის გამგის მოადგილე ამხ. ვ. ჯიქია. 2) ლონდონის—ცეპელინიდან 3) წყალდიდობა ევროპაში. ნახევრად ჩაძირული შენობა ჰუნგრეთში. 4) გერმანელი ექსპრესი—სისწრაფის რეკორდი. 5) რადიუმ აღმომჩენელის კიურის მეუღლე აღმომჩენის მონაწილე. 6) კომპოზიტორი ვერდი, გარდაცვალებიდან 25 წლის შესრულებისთვის. 7) გერმანელი მწერალი რომანტიკოსი ჰოფმანი, დაბადებიდამ 150 წ. შესრულების გამო. 8) პროფ. აინშტაინი, ლონდონის ასტრონომიული საზ-ბის მიერ დაჯილდოებული უმაღლესი საჩუქარით, რელატივობის თეორიის დამტკიცებისათვის. 9) იშვიათი ფოტოგრაფიული სურათი გერმანიის ექს-იმპერატორი ვილჰელმ II-ს გაქცევისა. ვილჰელმი ჰოლანდიის საზღვარზე ელის მატარებელს. 10) ს.ს.ს.რ. სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩინეთში—ამხ. კარახანი ჩინეთში მომხდარ უკანასკნელი ამბებისთვის. 11) 21 წლის გოგონა—რკინის მკვნეტელი. 12) ნიუ-იორკის კონკურენტი ქ. მიამი, (ფლორიდა) რომელიც შენდება რკინის და ბეტონის შენობებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქუთაისის ციხის გვირაბი

ქუთაისის საგუბერნიო ციხე 1907 წ. სავსებით გაჭედილი იყო პოლიტიკური პატიმრებით. მოჰყავდათ ტუსაღები, თითქმის ყოველდღე და ყოველ კვირაში. ასობით გზავნიდენ ადმინისტრატიულად გადასახლებულ ეტაპებს, მაგრამ ციხეს მაინც არ აკლდებოდა, ის მუდამ სავსე იყო. მის მუდმივ მკვიდრს შეადგენდენ სხვა და სხვა პროცესის მონაწილე, ის პოლიტიკურები, რომლებიც მიცემული იყვნენ სამართალში, ცნობილი 101 და 102 მუხლის ძალით: ზოგი „ყვირილის რესპუბლიკის“ და ხაზინის გაცარცვის პროცესის, ზოგი „ბელაგორის“, „რაჭალეჩხუმის“, „ზუგდიდის და გურიის“ „რესპუბლიკის“ და სხვა და სხვა. ისხდენ წლობით და მოელოდენ გასამართლებას, რომლის შედეგი, ცხადია, იქნებოდა კატორღა, გამასწორებელი რაზმი, ან სამუდამო გადასახლება...

ციხეში ისხდენ ისეთი პოლიტიკურები, რომლების 3-4 საქმე უკვე გაერჩიათ და 40-50 წლის კატორღა ზურგზე ეკიდათ. კიდევ შეიძლება 2-3 საქმე გარჩეულიყო და რამოდენიმე ათეულ წლის კატორღაც მიმატებოდათ, თუმცა თითოეულს მოუწევდა კატორღაში გატარება ერთ-ერთ საქმეზე, რომელზედაც კატორღის ვადის მაქსიმალური წლები მიეღო, დანარჩენი უქმდებოდა.

იქ ისხდენ ეგრედ წოდებული „სმერტნიკების“ კამერებში ისეთებიც, რომელთაც სიკვდილით დასჯა მოელოდათ. ყველა ესენი, რაღა თქმა უნდა, გაქცევაზე ოცნებობდენ, სულ ხვრელის გაყვანის გეგმებს აწყობდენ, მაგრამ ციხის გამოცდილ ადმინისტრაციასაც არ ეძინა და ისე ოსტატურად ჰქონდა მოწყობილი ციხის დაცვის აპარატი, რომ ყოველგვარი ცდა და მუშაობა ამ ნიადაგზე უნაყოფოდ რჩებოდა. თუ საქმე გარედან არ მოეწყობოდა, შიგნით მოწყობაზე ფიქრი უიმედო იყო.

ეს იმას კიდევ არ ნიშნავს, რომ ცალკე შემთხვევები თითოეულის გაპარვის, უკეთ რომ ვსთქვათ „გაძვრენის“, არ ყოფილიყო შესაძლებელი. ამგვარი ორი შემთხვევა იყო სწორედ 1907 წელს. პირველი, როცა ზაქარია გურული მოხერხებულად გადააძვრინეს „ნახვის დღეს“, იმ პატარა სარკმლის გვარ ამონაჭრიდან, რომელიც სანოვაგის, თუ საცვლების გადასაცემად აქვს დატანებული მავთულის ბადით დაბლანდულ კედელს, რომლის იქითაქეთ ტუსაღები და მათი მნახველები დგანან. ამ სარკმელთან მდგომი მეკარე, რომელსაც ევალებოდა გადასაცემების გასინჯვა, მოსყიდული იყო და ზაქარიას თვალი აარიდა. მეორე შემთხვევა კი, ეს აფრასიონ მერკვილაძის ახალგაზრდა რაზმელის, დაუვიწყარი ამბაკო სამანიშვილის, გაქცევა იყო. ამბაკო თან გაიყოლიეს ეტაპში ამხ. კოტე ცინცაძემ და მიშა ბიბინეიშვილმა სხვის მაგიერ, რომელიც განგებ ავად გამხდარი საავადმყოფოში იწვა. დავუბრუნდეთ საგანს. საჭირო იყო ისეთი ხვრელის გაკეთება, რომლის შემწეობით შესაძლებელი ყოფილიყო პოლიტიკურ ტუსაღების მასიური გაქცევა.

ამის შესახებ ციხეში ყოფნის დროს, პირველად ამხ. კოტე ცინცაძე მოელაპარაკა იქაურ ამხანაგებს და შეჰპირდა გადასახლებიდან დაბრუნებისთანავე საქმეს შესდგომოდა.

როგორც მახსოვს, ვიატკის გუბერნიიდან გამოქცეული, კოტე ქუთაისში ჩამოვიდა 1907 წლის, სექტემბრის პირველ ნახევარში. ამხანაგების მეტად ვიწრო წრეში მაშინვე გადაწყდა დაგვეწყო გარედან ციხეში დიდი ხვრელის გაყვანა, რამდენადაც შეიძლებოდა კონსპირატიულად. ამიტომ ეს საკითხი ორგანიზაციაშიც არ დასმულა. რამდენადაც ვიცი, მენშევიკებიდან პირველ დღეებში ამ საქმეში ამხანაგებს დახმარებას უწევდა მხოლოდ ზაქარია გურული.

ქუთაისის საგუბერნიო ციხეს სამხრეთით უვლიდა ობოლონის ქუჩა. ამ ქუჩის მეორე მხარეზე თავში იყო არვლამ ფანცხავას ერთ სართულიანი გალავან შემოვლებული სახლი, სწორედ ციხის პირდაპირ. ციხის გალავანსა და ფანცხავას სახლს შუა, მაშასადამე, გადიოდა ობოლონის ქუჩა. ციხის გალავნიდან ციხის შენობამდე იყო ციხის ეზო. ერთი სიტყვით, მანძილი სახლსა და ციხეს შუა იყო დაახლოებით 10-12 საჟენი. შიგნით, ციხის გალავანსა და ციხის კედელს შორის, დადის და ყარაულობს სალდათი. გარეთ, ობოლონის ქუჩის კუთხეში, სწორედ „ფანცხავას სახლის კარებთან, დგას საყარაულო ბუდკა“ და სახლსა და ციხის გალავანშუა დადის სალდათი. თუ გარედან ხვრელის გაყვანა გადაწყდებოდა, უეჭველად სახლიდან უნდა დაწყებულიყო და ამ შემთხვევაში ყველაზე მეტად მოკლე მანძილი აქ იყო, რადგანაც ამ სახლიდან დაწყებული და სწორ ხაზზე გავლილი ხვრელი მიადგებოდა ქვეითა სართულის „სეკრეტს“ იატაკს ქვეიდან. გადაწყდა ხვრელი სწორედ ფანცხავას სახლიდან დაწყებულიყო. ერთმა გარემოებამ მეტად შეგვიწყო ამ შემთხვევაში ხელი. სახლი ცარიელი აღმოჩნდა. საქმე ისაა, რომ ფანცხავას სახლი, მეტად შემჩნეული იყო ციხის ადმინისტრაციის მიერ, რადგანაც ციხის ზემო სართულის დერეფნის ფანჯრები ამ სახლის პირდაპირ დაჰყურებდა, და წინააღმდეგ აკრძალვა-გაფრთხილებისა, ყოველთვის ხდებოდა ხოლმე ფანცხავას სახლიდან მუნჯური ლაპარაკი, სხვა და სხვა ნიშნის ჩვენებით პოლიტიკურებსა და მათ ნაცნობ-ნათესავთა შორის. სწორედ ამ მიზეზით ფანცხავას სახლი დააცლევინეს, თურმე ხვრელის დაწყების წინა ხანებში. ეს კი ჩვენთვის, სწორედ რომ მისწრება იყო.

საჭირო იყო ამ სახლის დაქირავება, მხოლოდ მდგმურები, უეჭველად ჩვენი კარგი ამხანაგები უნდა ყოფილიყვნენ. აბა, სხვა ვინ მოიძულებდა თავს! ასეთებიც აღმოჩნდნენ: ჩვენი ძველი ამხანაგი ერემია ლომთათიძე (წინეთ არალეგალური ლიტერატურის საწყობის გამგე, რომელიც მე მებარა), ამხ. მარო ბოჭორიძე (ვითომ მისი ცოლი) და ამხ. ნატაშა კალანდაძე (ვითომც მისი და), შემდეგ ჩვენი განსვენებული ამხანაგის, აკაკი დალაქიშვილის, ცოლი. აი, ეს „სამება“ ერთი დიდი განზრახვით გატაცებული ბინავდება იქ. რა თქმა უნდა, ყველა სხვა და სხვა გვარების პასპორტებით. ერემია ექვსი თვით ქირაობს ამ სახლს. ქირას წინდაწინ იხდის. მოაქვთ ჩემი სახლიდან ჩემი ყოფილი მეუღლის, ამხ. ლოლა ბიბინეიშვილის, კუთვნილი საქსოვი მანქანა თავისი მოწყობილობით. ფანცხავას სახლიდან შეწყდა მუნჯური ლაპარაკი. ამ ამბით ციხის ადმინისტრაცია, უეჭველია, კმაყოფილი გახდებოდა. ეს სახლი გადაიქცა „საქსოვ სახელოსნოდ“. ფანჯრებზე და აივანზე გამოიფინა სანიმუშოდ კაცის



ბარონ ბიბინეიშვილი 1910 წ.

წინდები და ქალის „ჩულქები“... ახლო-მახლო მეზობლებს მოეფინა ხმა წინდის საქსოვი სახელოსნოს გაღების და შეკვეთები შეკვეთებზე მოსდის. ეს ახლო-მახლო მცხოვრები მეზობლები, განსაკუთრებით ციხეში მოსამსახურეებიდან შესდგებოდა. ამ „შემჩნეულ სახლსა და ციხეს შორის ერთბაშად მუნჯური ლაპარაკის შეწყვეტამ ჩვენს მდგმურებს ციხის ადმინისტრაციის თვალში დიდი ნდობა მოუპოვა.

გვირაბის კეთება უნდა დაწყებულიყო და დაიწყეს კიდეც სახლის სარდაფიდან. გამონათხარი მიწა თვით სარდაფში უნდა დარჩენილიყო. მიტანილ იქნა სათხრელი იარაღები და ამხ. კოტე ცინცაძე და ბაჭუა კუპრაშვილი ჭიათურიდან გამოწვეულ ორ მადნის მუშასთან ერთად შეუდგენ ხვრელის თხრას. რამდენადაც მახსოვს, ხვრელზე მუშაობდენ აგრეთვე ჩვენი დაუვიწყარი ამხანაგები (რომლებიც დღეს ცოცხალი არ არიან) ილიკო ჭაჭიაშვილი, აკაკი დალაქიშვილი და კოსტა ფარჯანაძე. სამუშაო იარაღები მეტად პრიმიტიული იყო და რამდენადაც მეტს სთხრიდან და შორს მიდიოდენ, იმდენად მუშაობა უფრო და უფრო ძნელდებოდა. ჰაერი არ ყოფნიდათ, სანთელი უქრებოდათ და სუნთქვაც უძნელდებოდათ... თუ არ მათსავით ძლიერი სულის და მტკიცე ნებისყოფის მქონე და რევოლიუციონურ მგზნებარე ცეცხლში ფოლადივით ნაწრთობი პიროვნებები, მაგ საქმეს ბოლომდე ვერ მიიყვანდენ...

ასე დიდებულად დაწყებული საქმე, რომლის დასრულებას სულ ცოტა-ღა უკლდა, ერთმა უბრალო შემთხვევამ კინაღამ დაღუპა... სახლის პატრონს, ფანცხავას, რაღაც ამბავი ყურში ჩაცდენოდა, თუ უსახელო წერილი მიეღო: „შენი სახლიდან „პოდკოპი“ გაჰყავთ ციხეზეო“. იმ წამსვე მოვარდნილიყო სახლში და სარდაფში ჩასვლა განეზრახა. მაგრამ სარდაფში ჩასვლის ნება, რა თქმა უნდა, ჩვენებს არ მიეცათ. მგონი, ეთქვათ: ბინის პატრონი აქ არ არის, მას აქვს გასაღები და შემდეგ მოდიო. ის რომ წამოსულიყო, სათვალთვალოდ ერემია გამოდგომოდა, არსად საეჭვო ალაგას არ შეუხვიოსო... მაშინვე ჩემთან მოვარდა და მაცნობა ეს ამბავი. თითქო მეხი დამეცა თავზეო, ისე იმოქმედა ჩემზე ამ ყოვლად მოულოდნელმა ამბავმა. ამხანაგებზე საშინლად გავჯავრდი: „როგორ არ გრცხვენიათ ასეთ გამოცდილ ხალხს, რომ ვერ მოიფიქრეთ ფანცხავას იქვე დატუსაღება. ვეება ვაჟკაცია, ჩაგებათ გვირაბის სათხრელად და ორ თქვენ ოდენას გაკეთებდა. თან ვაიძულებდით, რომ წერილი მოეწერა ცოლისთვის: უცბად თბილისში წასვლა მომიწია სასწრაფო საქმეზე და ერთ კვირაში დავბრუნდები-თქო. იმ წერილს კი თბილისიდან გამოვუგზავნიდით. ახლა კი გვიანღაა. რა თქმა უნდა, გაცემას ვერ გაბედავს, მაგრამ მას შეუძლია ყოველგვარი პირობები გვიკარნახოს და ჩვენც იძულებული ვიქნებით შევუსრულოთ მეთქი. ერემია ყველაფერში დამეთანხმა, მხოლოდ თავი ამით იმართლა: „ისე მოულოდნელად დაგვეცა თავს, რომ ველარაფერი მოვიფიქრეთო“.

აშკარა იყო, ერთად-ერთი გამოსავალი ამჟამად ის იყო, რომ ვინმე გავლენიანი პირის საშუალებით მოვლაპარაკებოდით და პირობა მიგვეცა, თუ რომ ზარალი მოუვიდოდა, ჩვენ გვეზღო. ასეთი გავლენიანი პირი, რომელსაც ფანცხავა დაუჯერებდა და ჩვენც აშკარად შეგვეძლო გაგვემხილა ყველაფერი, იყო ძველი რევოლიუციონერი და იმ დროს ცნობილი საზოგადო მოღვაწე გიორგი ზდანოვიჩი. საჭიროდ ვსცანით ზდანოვიჩთან მოსალაპარაკებლად წაგვეყვანა მენშევიკი გრიშა ლორთქიფანიძე. კოტე და ერემია წავიდენ გრიშასთან და მისი თანხლებით კი გიორგი ზდანოვიჩთან. ზდანოვიჩმა მისცა ფანცხავას 3000 მანეთის ვექსილი და ამით ჩააჩუმა.

სექტემბრის 25-ს, საღამოს, გვირაბი მზად იყო. გვირაბში გასვლა უნდა მომხდარიყო პოლიტიკურების საერთო სეირნობის დროს, ე. ი. საღამოს 4 საათზე. გადაწყდა მეორე დღეს, 26 სექტემბერს (ძველი სტილით), საღამოს, 4 საათზე უნდა დაეწყო გამოსვლა. ყოველივე წვრილმანი წინდაწინვე იყო გათვალისწინებული და მთელი ამ საქმის ორგანიზაცია საათივით აწყობილი..

გარეთ შემუშავდა და გაიგზავნა ციხეში გასაქცევ ამხანაგთა სია და გასვლის რიგიც. სიაში მოხვდა სულ 37 ამხანაგი. ციხეში შექმნილი იყო ამხანაგების ვიწრო წრე, რომელსაც ორგანიზაციულად უნდა ჩაეტარებია ციხიდან ამხანაგების გაშვება. ერთი მაშინ გაქცეული ამხანაგი (ლეო ქიაჩელი) ასე აგვიწერს ციხეში გამომუშავებულ და გატარებულ გეგმას: „მუშაობაში ჩააბეს ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებული საიმედო ამხანაგები, რომელთაც გაქცევა არ ესაჭიროებოდათ. ერთს ამათგანს ევალებოდა № 1 „სეკრეტთან“, სადაც ხვრელი იყო გამოყვანილი, გაქცევის დროს დარაჯობა. მას უნდა ჰქონოდა ორნაირი ცხვირსახოცი—წითელი და თეთრი. თუ საფრთხე არ იყო მოსალოდნელი და გზა ხსნილი იყო, მას ეჭირა ხელში თეთრი, და პატიმრებიც რიგ-რიგად ეზოდან „სეკრეტში“ შედიოდენ ხვრელში ჩასაძრომად. თუ რაიმე მიზეზით გამოსვლა შეჩერებული უნდა ყოფილიყო, ამ ამხანაგს წითელი ცხვირსახოცი უნდა დაეჭირა ხელში. ამის დამნახველი, გასაქცევ რიგში ჩამდგარი პატიმარი, „სეკრეტში არ უნდა შესულიყო და მანამ უნდა ეცადა, სანამ წითელი ცხვირსახოცი „სეკრეტთან“ მოდარაჯე ამხანაგის ხელში თეთრით არ შეიცვლებოდა.

მეორე ამხანაგს ზემო სართულში უნდა ედარაჯა... იგი ფანცხავას სახლს გადამყურე დერეფანში ფანჯარასთან უნდა მდგარიყო და იქიდან ედევნებია თვალ-ყური, თუ, ვინიცობაა, სახლიდან რამე ნიშანს აჩვენებდენ. მის განკარგულებაში იყო შიკრიკი, რომელიც მყისვე ძირს სართულში აცნობებდა ყველაფერს, თუ ამას საჭიროება მოითხოვდა. გარდა ამისა, საერთო ეზოში სიით ხელში დადიოდა ერთი ამხანაგთაგანი და რიგ-რიგად, სიის თანახმად, სრული წესრიგის დაცვით, ეუბნებოდა მორიგს,—შენი დროა და რიგი, წადიო.

ესეც ნელი ნაბიჯით, თითქო სეირნობა მოსწყენოდა, გაემართებოდა ციხისაკენ და „სეკრეტისკენ“ მიეშურებოდა. მის გასვლას რიგის მაჩვენებელს ეზოში სათანადო ნიშნებით აცნობებდენ, და ისიც შემდეგს გამოისტუმრებდა ჯადო სეკრეტისაკენ. ადმინისტრატიულ პატიმარს, ბიკტორ ქავთარაძეს, დავალებული ჰქონდა ციხის დუქანში ქვეითა სართულის ზედამხედველის გართობა. იგი უნდა შეექცია მას მსუქანი ქათმის ხორცით, რაც წინასწარ იყო დამზადებული მის პატივსაცემად. თომა ჩუბინიძის „სეკრეტში“ (ზემო სართულში, ციხის ეკლესიის პირდაპირ) სიაში მოქცეულ ამხანაგების სეირნობის და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყების წინ გასამხნევებლად კონიაკს ასმევდენ. არ ვიცი, ვისი რჩევით ხდებოდა ეს. თვითონ კონიაკის რა მოგახსენო, ხოლო მისი სმის პროცესი კი მართალია გამახნევებელი იყო. სათითაოთ შეიხმობდა თომა „გასაქცევს“ თავის „სეკრეტში“, მიიყვანდა კუთხესთან და საიდუმლოდ გადააკვრევინებდა კონიაკს. „აბა, შენ იცი, არ შეშინდეო!“ ეს ადამიანის ერთგვარი მღვდელმოქმედებას მოაგონებდა და, სწორედ ისე მოქმედობდა, როგორც ზიარების მიღება ღრმათ მორწმუნეზე.

გარეთ, გამოსვლის დაწყებამდე, მომუშავეთაგან სახლი უკვე დაცარიელებული იყო. იქ დრომდე, სანამ ტუსაღების გამოსვლა დაიწყებოდა, დარჩენ მხოლოდ სახლის მდგმურები: ერემია, მარო და ნატაშა. ციხის გარშემო სხვა და სხვა ალაგას ეტლი იდგა და თითო-თითოდ მიდიოდენ ეტლთან ამხანაგები. გამოქცეულმა ამხანაგებმა იცოდენ, თუ რა პაროლით უნდა მიემართათ ეტლთან მდგომ ამხანაგებისათვის და შემდეგ ისინი ბინებზე მიჰყავდათ. უმეტესი წილი ამხანაგებისა, ზოგი ეტლით და ზოგი ქვეითად, მოადგა გიორგი ჩხაიძის სასტუმრო „გურიას“, სადაც მე ვუცდიდი მათ რამდენიმე ამხანაგით და იქიდან ვგზავნიდი სხვა და სხვა ბინაზე თითო ამხანაგის თანხლებით.

აქ არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ სრული ჭეშმარიტებაა თქმულება: „რევოლიუციის მოხდენა უფრო ადვილია, ვიდრე მის მონაპოვართა შენარჩუნება“-ო.... ასეა თითქმის ყოველ საქმეში და ეს ამ შემთხვევაშიც გამართლდა... პირველად ყველაზე ძნელი საქმე გვირაბის გაყვანა იყო. მთელი ჩვენი ყურადღება აქეთკენ იყო მიქცეული, ხოლო სხვა რამეზე თავს არავინ იტკივებდა. ყოველ შემთხვევაში, გაქცევის შემდეგ მათი შენახვა მეტად იოლად მიგვაჩნდა... სავსებით მართალია ამხ. კოტე ცინცაძე, როცა ამბობს: „უნდა ითქვას, რომ ციხიდან გაქცევის ორგანიზაცია უფრო ადვილი გამოდგა, ვიდრე გაქცეულ ამხანაგების მოვლა... საჭირო იყო ბევრი ამხანაგებისათვის ბინების გამოცვლა, ფულისა და ტანისამოსის მიწოდება, რკინის გზაზე გადაყვანა და თბილისში მათი გამგზავრება, პირის სახის შეცვლა, პარიკები... ერთი სიტყვით, საქმე ბევრად უფრო რთული იყო, ვიდრე მიწის თხრა და მათი იქიდან გამოყვანა“.

ხუმრობა ხომ არ არის, პატარა ქალაქ ქუთაისის დიდ საგუბერნიო ციხეში შეჰყავთ მთელი 12-13 საჟენის მანძილზე ხვრელი კი არა, როგორც ჩვენ ვეძახდით, არამედ მთელი გვირაბი, თალებ გამაგრებული, სავსებით განათებული და იქიდან გაჰყავთ 40-მდე მძიმე პოლიტიკური დამნაშავე, რომელთაც მოელოდათ ჩამოხრჩობა, კატორღა, ციმბირი.... გაჰყავთ დღისით, ნაშუადღევის 4 საათაზე, თითქმის მთელი თავის მუშაობის შემდეგ...

თუ ასე მოხერხებით და გაბედულად ჩატარებულმა ამ დიდმა რევოლიუციონურმა აქტმა მშრომელ მასაში გამოიწვია უდიდესი ენტუზიაზმი, სამაგიეროდ, საზოგადოების მეშჩანური ნაწილი მეტად დააფრთხო... ასეთ პირობებში ვინ გაიკარებდა სიახლოვეს შესანახად და დასამალავად ციხიდან გაქცეულ პოლიტიკურ დამნაშავეს!.. თუმცა სამართლიანობა მოითხოვს სიამოვნებით აღინიშნოს, რომ ქუთაისის მოწინავე საზოგადოება, განსაკუთრებით, თავად-აზნაურთა წრიდან, არა თუ თანაგრძნობით შეხვდა ამ საქმეს, არამედ ზოგი მათგანი დიდ დახმარებასაც არ იშურებდა... ვისაც კი მივმართავდი ბინისთვის, ყველა მზად იყო... ამ ნიადაგზე წმინდა წყლის კურიოზებსაც ჰქონდა ადგილი. მაგალითად, ტენგინის პოლკის ჯარისკაცი პოლიტიკური დამნაშავე—მოსე ბეიტლერი დამალულ იქნა გუბერნატორის კანცელიარიის ჭერში, იმავე კანცელარიის სხვილი მოხელის ბადუა ჩიქოვანის წყალობით. ბეიტლერთან მსვლელობდა და მისთვის საჭმლის მიწოდება მანვე იდვა თავზე. ყველაზე მეტ დახმარებას გვიწევდა ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლი კოწია ერისთავი. ამ საქმეში მისი გამბედაობა პირდაპირ რაინდული იყო. გაქცეულთა შორის ყველაზე დიდი პოლიტიკური დამნაშავე, დაუვიწყარი თომა ჩუბინიძე, კ. ერისთავმა ხელი-ხელ გაყრილი გააცილა ქუთაისიდან რიონის სადგურამდე და თბილისში გაამგზავრა... თუ რა დიდი გამბედაობა იყო ეს მისთვის იმ დროს, ამაზე ლაპარაკიც მეტია....

სამაგიეროდ, მენშევიკებს (თუ სახეში არ მივიღებთ ზაქარია გურულის რამოდენიმე დღის მუშაობას და გრიშა ლორთქიფანიძის დახმარებასაც) თითიც არ გაუნძრევიათ და არც ერთი გროში არ გაუღიათ....

ყველა ვინც გაუშვით დამზადებულ ბინაზე, შეიძლება ითქვას, რომ საიმედოდ იყვნენ დაცული, გარდა 4-5 ამხანაგისა, რომლებიც, ალბად, არ ენდვენ ქალაქსა და ჩვენს ბინებს და, როგორც კი თავისუფლედ ამოისუნთქეს, მაშინვე შინისკენ გზას გაუდგენ. ისინი მუხიანის სადგურზე შეიპყრეს და ციხეში დააბრუნეს. მათ შორის იყო ამხ. გედენია კაჭარავა. რამოდენიმე დღის შემდეგ, მივიღეთ ცნობა, რომ ორ ამხანაგს: ქიჭიკო ასათიანს და ლეო ქიაჩელს, გოდოგანის ტყეში არეოდათ გზა და მათ ჩამოსაყვანად გაგზავნეს ამხ. გიორგი ჟვანია და ქუთაისში დავაბინავეთ.

გადამეტებული არ იქნება, ვსთქვათ, რომ გაქცეულებისათვის ბინების შოვნისა და მათი გამოწყობა გამგზავრების მთელი სიმძიმე მე დამაწვა თავს, როგორც ადგილობრივი პირობების და მოსახლეობის საუკეთესო მცოდნეს. ახლა რომ მაგონდება, მიკვირს,—არა ის დაუცხრომელი ხალისი და უსაზღვრო ენერგია, რომელიც არ მაკლდა, არამედ ის, თუ სად ჰქონდა ადმინისტრაციას თვალები, რომ ჩემს უსაზღვრო წანწალს ბინების ძებნაზე, ტანსაცმელების ბაზარში ყიდვაზე, თუ პასპორტების შოვნაზე ვერ ამჩნევდა...

ამხ. კოტე ცინცაძე თავის მოგონებაში (იხ. რევ. მატ. № 4, გვ. 74) ამის შესახებ სწერს:—„ჩვენი ფრაქციის ადგილობრივი ამხანაგებიდან დიდ და ენერგიულ მუშაობას ეწეოდა ამხ. ბ. ბიბინეიშვილი. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივებიდან მთელი სიმძიმე გაქცეულების მოვლისა მას დააწვა კისერზე. სხვათა შორის, მეც მასთან მქონდა ბინა. ბინა იქნებოდა საჭირო, აბა, ბარონ, შენ იცი, პარიკმახერი—აბა, ბარონ... და ბარონიც წელში წყდებოდა, მაგრამ შოულობდა, აწყობდა. მის შემდეგ დიდ დახმარებას გვიწევდა ბაჭუა კუპრაშვილი. ასე ამ ნაირად, ჩვენ სამი: ბარონი მე და ბაჭუა შევუდექით გაქცეულების მოვლას, მათ თბილისში გაგზავნას...

გადაწყვეტილი იყო, პირველ რიგში გაგვეშვა უფრო მძიმე დამნაშავენი და შემდეგ სხვები. ამრიგად ყველაზე უწინ გავამგზავრეთ მოსე ბეიტლერი, რომელსაც რიონის სადგურზე ალფესი მუსერიძე ჩაჰყვა, მეორე რიგში—თომა ჩუბინიძე და ისმაილ ჭუმბურიძე. ვამზადებდით მესამე წყებას, როდესაც (2 ოქტომბერს) გათენების ხანს მთელი არქიელის გორას ალყა შემოარტყეს და სასტიკი ჩხრეკა გააჩაღეს ყოველი სახლის, ყოველი ხისძირის და ბუჩქის. გორაზე იმ ღამეს რამოდენიმე ამხანაგი გვყავდა და მათ შორის საშა სტეფანოვი და დათიკო სულიაშვილი. ჩხრეკა რომ შეიქნა, საშა სახლს არ ენდო და თავი ბუჩქებს შეაფარა, საიდანაც მალე გამოაძვრინეს, დათიკო სულიაშვილი კი, რომელიც სობოროს მედავითნე, ბოლშევიკ კანდელაკთან, იმალებოდა—გადარჩა. ამან თავზარი დაქცა ყველას და გადავწყვიტეთ, რათაც არ უნდა დაგვჯდომოდა, დაგვეჩქარებია დანარჩენის გაგზავნა. თითქო გუშინ იყო, ისე მახსოვს.

კვირა დღეა. შემოდგომის მშვენიერი დარი. მთელი დღე დავდივარ ბაზარში ამხ. მედავითნე კანდელაკის თანხლებით. ვიყიდეთ სამი წყვილი ტანსაცმელი, ორი—კაცის და ერთი—ქალის. საღამოსთვის ჩემს ბინაზე (ჭომის ქუჩა, მღვდელი კახეთელიძის სახლში) მოვიწვიე პარიკმახერი (უპარტიო, მგრამ სანდო) თავისი სრული მოწყობილობით, პარიკებით და სხვ. მეშჩანთა მამალი სახლი ისმაილ გოგოლაშვილისაგან (რომელიც ესერების პასპორტების „პასტავშჩიკად“ ითვლებოდა) ვიყიდე 10 მანეთად ათი პასპორტის ბლანკი. დავიბარე, რომ საღამოს ჩემთან მოსულიყვნენ გასაგზავნთა გასაცილებლად ალფეს მუსერიძე და ჩვენი მედავითნე. კოტეს—კი უმისოდაც ჩემთან ჰქონდა ბინა. დღეს უნდა გავამგზავროთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი ამხანაგი: ალექსანდრე ჩიქავა, ლავრენტი ესვანჯია (ამას წინეთ გასამართლებული „პარიტეტჩიკი“) და ჯოხაძე. დაღამდა და ჩემს ბინაში გაჩაღდა მუშაობა. პარიკმახერი ზოგს ჰპარსვს, ზოგს პარიკის უკეთებს... ჯოხაძე ახალგაზრდა, პირტიტველი ყმაწვილი იყო. პარიკმახერმა მას სამართებელი მაინც გადუსვა და პუდრი წასცხო. კოტე, მგონი, ტანისამოსს ურიგებდა მათ. ჯოხაძე ქალის ტანსაცმელში გამოვაწყვეთ. სწორედ ქალს ჰგავდა, მაგრამ მისი მამაკაცური უხეში სიარული ყველას სიცილსა ჰგვრიდა. წინადადება მივეცით სიარული ესწავლა. ყველანი რიგზეა ჩაცმული, სავსებით გამოცვლილებია...

მე პასპორტების მზადებაში ვარ გართული. უკვე მოვუმზადე ერთს, ვიწყებ მეორეს. ალექსანდრე ჩიქავამ მთხოვა, მისთვის, თუ შეიძლებოდა, უფრო საიმედო პასპორტი ამერჩია და მეც ავურჩიე სამაზრო სამმართველოს ბლანკებიდან. სიაში ვეძებ რომელიმე გაცემულ პასპორტზე ცნობებს. ამ დროს საქმეში ერევა ალფესი მუსერიძე და მთხოვს სამაზრო სამმართველოს პასპორტის ნაცვლად მეშჩანთა სამმართველოსი მივსცე. მე არ ვუჯერებ და განვაგრძნობ წერას. შემდეგ ალფესი უმტკიცებს ალექსანდრეს, რომ მისთვის უფრო საიმედო იქნება მეშჩანთა მამასახლისის პასპორტი. აბა, ვინ მიაქცევდა მაშინ ამას ყურადღებას. მე ხუმრობით შევნიშნე მხოლოდ: „შენ, კაცო, ნუ აშინებ ამ ხალხს! შენ კი, ჩემო ალექსანდრე, უფრო მე მენდვე, ალფესი, რაც არ უნდა იყოს, მაინც პოლიციელია.... ყველამ გავიცინეთ და ამის შესახებ ლაპარაკი შეწყდა.

სულიერი განწყობილება ყველას საუცხოო აქვს. უდიდეს კმაყოფილებას ვგრძნობთ, რომ კარგად მოწყობილებს ვისტუმრებთ. მე და კოტემ მგზავრები დავკოცნეთ. გადავკოცნე მე ალფესიც: „აბა, შენ იცი, ჩემო ალფესი, როგორ ჭკუით, შენებურად მიაცილებ რიონზე და ჩასხამ თბილისის მატარებელში! რა უნდა მოხდეს, მარა, ვინიცობაა, თუ ხიფათი რამ შეგემთხვესთ, ამალამვე უნდა მაცნობო“... შემოვბრუნდი და, რადგანაც უკვე გვიანი იყო, დავწექით. ძილი თითქო არც ერთს გვეკარება. ცოტა ხნის შემდეგ კოტემ დაარღვია სიჩუმე და მეკითხება: „კაცო, ვინაა მაი ჩინოვნიკი“, ასე თავგამოდებით, რომ გვეხმარებაო... მე მოვუყევი, თუ საიდან გაჩნდა ის, ვინ იყო და რა ღვაწლი მიუძღოდა რევოლიუციის წინაშე... ბოლოს შევიტყვე, რომ კოტეს ჩაძინებოდა, მეც დავჩუმდი და ღრმა ფიქრებში გავერთვე....

ის ის იყო, ძილი მეკიდებოდა, რომ ზარის ხმა მომესმა. პირველი ფიქრი, რამაც თავში გამიელვა, იყო, რომ პოლიცია დაგვესხა თავს, და კოტეს ღვიძება დავუწყე. ჩქარა ადექი, ბიჭო, პოლიცია არის, შეიძლება უკან გასასვლელათ თავს უშველოთ მეთქი... ვატყობ,რაღაცას ლუღლუღობს და არ ინძრევა. „ჯანაბას შენი თავი, თუ ადგომა გეზარება! რომ დაგიჭერენ, მაშინ ვნახოთ, თუ არ ადგები მეთქი, და კარების გასაღებად წავედი. ვაღებ კარებს და ვხედავ, რომ ეტლი ქუჩაში დგას, ფარნის შუქი სახეზე სცემს კარებთან მდგომ მუსერიძეს... ქოჩრიდან დაწყებული ფეხის ფრჩხილებამდე მთელ სხეულში თითქო ელექტრონმა დამიარა. მივხვდი, რომ ჩვენები ჩავარდენ. გავშეშდი. პირველი აზრი, რომელმაც ელვის სისწრაფით თავში გამიელვა, იყო: „თვითონ ალფესიმ ხომ არ მოაწყო?...“ ამ საშინელმა აზრმა უცბად გამიელვა და უცბადვე ჩქარა... „რაშია საქმე, რა მოხდა?“. შევძახე მე „ყველანი ჩავარდენ. ჩავსხედით თუ არა მატარებელში, ალყა შემოგვარტყეს. ისინი დაიჭირეს, მე კი ძლივს დავაღწიე თავიო“. შემდეგი ლაპარაკიდან გამოირკვა, რომ ალყა მაზრის უფროსს შემოურტყამს თავისი ჩაფრებით, მი დროს, როცა სადგური ქალაქშია და ქალაქი კი პოლიცმეისტერს აბარია. მუსერიძეს ვუთხარი: „ხვალ დილით ყოველი მიზეზის გარეშე მნახე ბანკში მეთქი და გავისტუმრე. მე და კოტე ჩვენს-ჩვენს ლოგინზე მივეგდეთ. ორივე დიდხანს ვიყავით გარინდული, ხმას არ ვიღებდით. შემდეგ მე დავარღვიე მყუდროება და კოტეს გაუზიარე ის საშინელი აზრი, რომელიც მუსერიძის დანახვისთანავე თავში მომივიდა. დავიწყე მტკცება, რომ გამცემი ეს უნდა იყოს მეთქი, იქვე მოვიგონე, რომ ძალიან არ უნდოდა, რომ მისი მოტანილი პასპორტი მიგვეცა, რომ მაზრის უფროსი წინეთ ტყობილობს, ვიდრე პოლიცმეისტერი და სხვა და სხვა......

კოტესაც ასე ეფიქრა, თუმცა ამას იმდენი მნიშვნელობა არა ჰქონდა, რადგანაც კოტე მას კარგად არ იცნობდა. რამდენიმე საათის წინეთ მე მას ვუამბობდი თუ ვინ იყო მუსერიძე და რა გაუკეთებია... შეუდექით ნამდვილ კამათს, თითქო მუსერიძეს ვასამართლებდეთ და ჩვენ მოპირდაპირე ვექილები ვიყოთ. მე რომ ვიცავდი—ის ამტყუნებდა და, როცა ის იცავდა—მე ვამტყუნებდი... არ დაგვიტოვებია 4—5 წლის განმავლობაში მუსერიძის შესახებ არავითარი წვრილმანიც შეუფასებელ-გაუკრიტიკებლად.. გათენდა კიდეც და ორივე იმ აზრს დავადექით, რომ, ყოველშემთხვევაში, საეჭვოა და სასწრაფოდ უნდა გამორკვეულ იქნეს ეს ეჭვი, ან დამტკიცდეს და ან გაუხმაურებლად უარყოფილ იქნეს. მაგის გამორკვევა მე ვიკისრე. კოტეს მხოლოდ ვუთხარი, რომ მუსერიძე ჩემი ხუთი თითივით მყავს შესწავლილი, ის ბავშივით გულუბრყვილოა, ჩემს მოტყუებას ვერ შესძლებს. მე ის უკვე დაბარებული მყავს და ან ბინის შოვნას დავავალებ, ან განგებ რამე საიდუმლოს შევატყობინებ, მხოლოდ სამი დღე მაცალეთ, ჯერ ამ ამბავს ნურავინ გაგიებს მეთქი. კოტე დამეთანხმა და საქმეს შეუდექი.

როგორც დაბარებული მყავდა, მუსერიძე დანიშნულ საათზე ბანკში გაჩნდა. ჯერ წინაღამინდელ შემთხვევაზე ვილაპარაკეთ, შემდეგ მეტად, ფრთხილად, გადავედი ამხანაგების შესახებ საყვედურებზე, რომ თავზე დამაწვა ამოდენა საქმე და კოტეს მეტი არავინ მეხმარებოდა და ისიც ისეთი ზარმაცობდა რომ წუხელის გვეგონა პოლიცია მოვიდა და მას ადგომა და გაქცევა შეეზარა. ყველა ტუსაღები, წუხელის დაუჭერიათ მოსე ბეიტლერის გარდა, რომელიც შენ გააცილე, აქ არიან, ყოველდღე რამდენიმე ბინაა საჭირო და არ ვიცი, რა ვქნა, რა წყალში ჩავარდე. მზათ ვარ ყველაფერს თავი გავანებო, მარა თომა ჩუბინიძე მეცოდება. მას თუ დღესვე არ გამოუცვალეთ ბინა, ჩავარდება მეთქი. (თომა კი უკვე თბილისში იყო). მან წინადადება მომცა თომა მის ბინაზე გადამეყვანა. მე უარი ვუთხარი: შენ სიმამრთან ცხოვრობ, ბევრი ხალხია, ვისმე რამე წამოცდება და დაიღუპება. მაგრამ, თუ საღამომდე ვერსად ვიშოვნე მისთვის ბინა, სხვა გზა არაა, ისევ შენ უნდა მოგანდო, ამიტომ საღამოს 6—7 საათზე უეჭველად შინ მნახე მეთქი. და ამით ერთმანეთს გავშორდით.

სწორედ საღამოს ექვს საათზე ის ჩემთან მოვიდა. შენი მეტად მადლობელი ვარ, ჩემო ალფესი, მაგრამ თომას ბინა უკვე ვუშოვნე ფილიპე ქელიძის ბოხჰალტერთან, სამსონ კობიძესთან. თუმცა კარგი ბინაა. მარა თითქმის 5—6 პირმა იცის და ის—კი არვარგა. მაგრამ მე მეტი არაფერი შემიძლია. ჩავარდება და ჩავარდეს, ვერავის თან ვერ გადავყვები მეთქი. გამოვემშვიდობე და ერთმანეთს დავშორდით, იმ წამსვე წითელ ხიდთან ქელიძის ღვინის საწყობში გავიქეცი, ვნახე კობიძე და გავაფრთხილე: მე ჯაშუშები კვალდაკვალ დამსდევენ. ამასწინად აქ რომ შემოვედი, შემამჩნიეს და. ვინ იცის. შეიძლება გასაჩხრეკად მოვიდნენ და ოთახში არაფერი იქონიოთ მეთქი. მეორე დილის არც ქელიძისკენ გამივლია და არც მუსერიძე მინახავს.

მესამე დილის დილით 8 საათზე შევირბინე ქელიძის საწყობში კობიძისთან და სანამ მე რასმე ვკითხავდი. მითხრა: „რა კარგ დროზე გამაფრთხილე! სწორედ იმავე ღამეს. ნაშუაღამევს თავს დამესხა მაზრის უფროსი სტრაჟნიკებით“ და სულ გადმოატრიალეს მთელი ოთახი. ჩემი ბიძაშვილი იყო ჩემთან და კინაღამ დააპატიმრეს. თან რაღაც სურათები ჰქონდათ. სულ იმ სურათებს უყურებდნენ და ჩემს ბიძაშვილს უმზერდნენ. ალბათ, ადარებდნენ“. გველნაკბენივით უკან გამოვბრუნდი. მოვდივარ და სულ იმის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიქრში ვარ: არის ეს საკმაო, თუ არა, რომ მუსერიძეს პროვოკატორობა დასწამდეს. გადავწყვიტე კოტესთან მოლაპარაკება. ამ ფიქრში რომ ვარ, წინ შემეხეჩა ბულვართან მეტის-მეტად მოწყენილი მუსერიძე თავის ცოლის დის თანხლებით. სალამის მოცემის შემდეგ მოწყენის მიზეზი ვკითხე. მიპასუხა, რომ შვილი (2 თუ 3 თვის) მომიკვდა წუხელის და კუბოს შესაკეთად მივდივარო. სამძიმრის გამოცხადების შემდეგ განზე გავიხმე ცალკე და ვუთხარი: „შენ ახლა რაღა ჩვენს ამხანაგებზე გცხელა, მაგრამ ერთი სასიამოვნო ამბავი უნდა გითხრა. კაცო, ჩვენი თომა ბეწვზე არ გადარჩა! ხომ გახსოვს, რომ გითხარი ჭელიძესთან არის მეთქი. ჰო, და—მისულამ გუშინ წინ ღამით ჭელიძის ბუხჰალტერ კობიძესთან და სასტიკად გაუჩხრეკიათ“.

— მერე და—სამსონა კობიძე მეტად ჭკვიანი ბიჭია. მე რომ უთხარი, შენთან ოთახში ამყოფე მეთქი, მას წაუყვანია და ჭელიძის ღვინის სარდაფში ბოჭკებთან მოუსვენებია თურმე. ახლაც იქ არის. თუმცა ახლა კიდევ მეტმა ამხანაგებმა იციან მისი იქ ყოფნა, მარა რა უყო, მე მეტი ბინის შოვნა აღარ შემიძლია მეთქი,—და ერთმანეთს გავშორდით.

მეორე დღეს დილით კიდევ ვეწვიე ჭელიძის ბუხჰალტერს, კობიძეს.—კაცო, შენ პროვოკატორი ხომ არ ხარ? გამოჩნდები თუ არა,—მე თავს უნდა დამესხან. წუხელის კიდევ მობრუნდა მაზრის უფროსი თავისი სტრაჟნიკებით და ახლა სარდაფს ეცა, ისე გაჩხრიკეს, რომ თითქო კაცს კი არა, თაგვს ეძებდენო...

უკვე არავითარი ეჭვი აღარ იყო. ალფესი მუსერიძე აშკარა პროვოკატორია. მე ეს მაშინვე ვაცნობე ამხანაგებს. გადაწყდა მისი თავიდან მოშორება, უკეთ, რომ ვსთქვათ, სიკვდილით დასჯით, მაგრამ სანამ ეს სისრულეში იქნებოდა მოყვანილი, ჩვენ უნდა გაგვეგო, თუ ვისი გაცემა მოასწრო მან. ამისთვის სახეში გვქონდა ჯერ მისი მოტაცება. ამის შესრულებამდე კი მასთან ჩვეულებრივი დამოკიდებულება უნდა გვქონოდა. მე პირადად დარწმუნებული ვიყავი, რომ, თუ გამცემდა, ყველაზე ბოლოს უნდა გავეცი, რადგან მას მუდამ მხოლოდ ჩემთან ჰქონდა საქმე. სხვათა შორის, ყველა ამხანაგები გავაფრთხილეთ, რომ ჩემ უშუალოთ მასთან არავითარი კავშირი არ დაეჭირათ. ეს გაფრთხილება დაერღვია მენშევიკ ნესტორ ჩხიკვაძეს, რომელსაც მენშევიკური ორგანიზაციიდან მინდობილი ჰქონდა მაზრის უფროსის მოკვლა. ჩხიკვაძეს მუსერიძისთვის მიემართა სხვა და სხვა ცნობებისათვის: როდის, სად და რომელი ქუჩებით დადის მაზრის უფროსი. ამ დროს მუსერიძე უკვე გაპროვაკატორებული იყო და გადაეწყვიტა ჩხიკვაძის დატუსაღება. მას შორიახლო გადაცემული ჩაფრები გამოეყოლებია ბულვარში. ჩაფრებისთვის ეთქვა: „ვისაც ხელი ჩამოვართვა, ის დაატუსაღეთ და წაიყვანეთ“. მე კი მუსერიძე, უეჭველად იმ დღეს უნდა მენახა და მეთქვა, რომ საღამოს 6 საათზე ჩემთან მოსულიყო ბინაზე. გადაწყვეტილი იყო, თუ მარტო მოვიდოდა, სახლს უკან ჩასაფრებული ამხანაგები დაატუსაღებდენ მას, ხოლო, თუ ჩაფრების თანხლებით, იმ შემთხვევაში დატუსაღებაზე ფიქრიც კი აღარ შეიძლებოდა და სიკვდილით სასჯელის გადაწყვეტილება სისრულეში უნდა მოგვეყვანა....

დავდივარ ბულვარის ირგვლივ ქვაფენილზე და ვათვალიერებ შიგნით და გარეთ მუსერიძეს. უცებ ის წინ შემეხეჩა. უცბად ხელს ვართმევ, ის კი თითქო ნაძალადევად მართმევს ხელს და სახე შეშლილი აქეთ-იქით იყურება... მე ვუთხარი, რაც მინდოდა და გავშორდი თუ არა, დამეწია რამდენიმე ნაბდებში გამოწყობილი ჩაფარი და გამომიცხადეს, რომ დატუსაღებული ვარ და წინ გამიძღვარეს. გადავედით ლალიძის მხარეზე... მე მხოლოდ ის მაწუხებს, რომ ჯიბეში მიდევს კამოს ნაჩუქარი „მარსის“ სისტემის რევოლვერი და იმ დღესვე საზღვარ-გარეთიდან მიღებული ლიტერატურა და წერილები... იმის ფიქრში ვარ, ეგებ წერილი მაინც შეუმჩნევლად გადავაგდო მეთქი. ამ დროს დაგვეწია მუსერიძე, გაიხმო უფროსი ჩაფარი და რაღაცას ელაპარაკება, თან ხელით ჩემზე აჩვენებს... შემდეგ ჩემთან მოდის და მეუბნება: „შეცდომით დაგიჭირეს, შეგიძლია წახვიდეო“. მე წინადადება მივეცი სესიას საკანდიტრომდე გამყოლოდა. გზაში მისაყვედურებს: „ახირებული ყველა ბულვარში იყრით თავსო“. მე მკვახეთ ვუპასუხე: ახლა ამაზე ლაპარაკის დრო არაა, საღამოს ვილაპარაკოთ მეთქი, და გავშორდი. ჩემს ბინას შემდეგ აღარ გავკარებივარ, დავიმალე გიგო წულუკიძის სახლში. ამ დღეს დანიშნულ საათზე 5—6 გადაცმული ჩაფრის თანხლებით ჩემს ბინაზე მისულიყო, მაგრამ, რაკი არავინ დახვდა, უკან გაბრუნებულიყო... მეორე დღეს, მთელი დღის განმავლობაში, ის თურმე გაცხარებით დაეძებდა, ვისაც ნაცნობს ნახავდა შველასა სთხოვდა: „ბარონის ნახვა მინდა, და აცნობეთ უეჭველად მნახოსო, აშკარა იყო, მან უკვე იგრძნო, რომ ჩვენ გავუგეთ პროვოკატორობა, და მან კარგად იცოდა ,თუ ასეთ შემთხვევაში ჩვენ როგორი გამასპინძლება ვიცოდით გამცემ-მოღალატეების. ენახა სხვათა შორის სამსონ დათეშიძის მეუღლე და მისთვისაც ეთხოვა, როგორმე ბარონი მანახეთო... გადაწყვეტილი იყო, მას მეტად აღარ გავკარებოდით. სწორედ მეორე დღეს, დილის 9—10 საათზე, ის ჩაფრის თანხლებით თავისი ბინიდან გამოდის. შემდეგ ის მათ სადღაც სტოვებს, თვითონ კი მარტო მიდის ისიდორე კვიცარიძის წიგნის მაღაზიაში და აძლევს ისიდორეს რამდენიმე პასპორტის ბლანკს. (მას ეს პასპორტები მუსერიძისთვის წინათ ეთხოვა) ამხ. კვიცარიძის მეუღლეს შეუმჩნევია, რომ ის მეტად ცუდ ფერზე ყოფილა და უკითხავს: ალფესი, რა მოგივიდათ, კაცის ფერი რომ არ გადევთ, ავად ხომ არ ხართო?“რაღაც წელი მტკივაო,—ეპასუხებია მას.

ტერორისტი კიკავა მას კვალდაკვალ მისდევდა და მოხდენილ ალაგს არჩევდა. მას ნდომებოდა იქვე მაღაზიის წინ სროლა, მაგრამ მოფრთხილებია, ისიდორეს არაფერი ევნოსო. როგორც კი გამოვიდა მუსერიძე წიგნის მაღაზიიდან და ბულვარის კუთხის პირდაპირ ფილიპოვის მაღაზიას გაუსწორდა, გავარდა რევოლვერი და საბედისწერო ტყვიამ განგმირა პროვოკატორი. მან მოასწრო მხოლოდ დაძახება „ჩქარა მაზრის უფროსს აცნობეთო“. ათ წუთში მაზრის უფროსიც იქ გაჩნდა, მაგრამ ის უკანასკნელ სულის ლაფვაში იყო... ერთი სიტყვის დაძვრაც აღარ შეეძლო... მან თან ჩაიტანა საფლავში გასაცემ რევოლიუციონერთა სიის საიდუმლოება და ველარ მოასწრო მათ მიმართ შურისძიება მაზრის უფროსისათვის ენდერძებია. საადგილ-მამულო ბანკის (სადაც მე ვმსახურობდი) აივანზე გამოცვინდენ თანამშრომელნი და მკვდარი მუსერიძე რომ დაინახეს, განცვიფრებული კითხულობდენ: „რაშია საქმე, ეს ხომ ბარისის ამხანაგი იყო, ვინ მოჰკლაო?“... როგორც შემდეგ გამოირკვა, ის უკვე დანიშნული ყოფილიყო ტყიბულის ბოქაულად, მაგრამ აღარ დასცალდა ბოქაულის ყვითელი ეპოლეტების ტარება...

ამ დიდმა რევოლიუციონურმა აქტმა მწერლობაშიაც ჰპოვა გამოძახილი. 1908 წ. ს. დ. გაზეთში (სახელი არ მახსოვს) დაიბეჭდა ბელეტრისტი იასონ ნიკოლაიშვილის მოთხრობა სათაურით: „იუდას ამბორი“...

რამოდენიმე კვირის შემდეგ მუსერიძისავე გზას გაუყენეს ჩვენმა ტერორისტებმა ციხის ახლად გაუფროსებული მწერალი აფშილავა, რომელმაც უსასტიკესი რეჟიმი შემოიღო ციხეში ხვრელის გაყვანის შემდეგ და ხვრელის ისტორიაც ამით დასრულდა...

ბარონ ბიბინეიშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ნიკო ფიროსმანი

XIX საუკუნის პირველ ნახევარში, ს. შულავერში უცხოვრია აზნაურიშვილს ვინმე ახვერდი ქალანთაროვს. იგი ალარა ყოფილა ცოცხალი როცა ქიზიყიდან ს. შულავერში გადასახლებულა საცხოვრებლად ფიროსმანის მამის მთელი ოჯახობა. ნიკოს მამა მევენახეთ დამდგარა ახვერდი ქალანთაროვის ზვარში და თვისი ცოლშვილი დაუბინავებია ქალანთაროვის ოჯახში.

ნიკოს მამას ჰყოლია ორი ვაჟი და ორიც ქალი რომელთაგან ერთი გათხოვილი ჰყოლია ქიზიყში. თან მოჰყოლია ერთი ქალიშვილი. ნიკო უმცროსი ვაჟი შვილი ყოფილა. უფროსს რქმევია გიორგი რომელიც გადაცვლილა 16 წლისა ს. შულავერს. რამოდენიმე წლის შემდეგ ნიკოს მოჰკდომია მამა. მალე ნიკოს ავად გაჰხდომია დედაც. რომელსაც უვლიდნენ ქალანთაროვები. როდესაც იგრძნო მან სიკვდილის მოახლოვება უკანასკნელ დროს იგი შეევედრა ახვერდი ქალანთაროვის მეუღლეს ეფროსინიას.

— „თქვენ გაბარებთ ჩემ შვილს ნიკოს და უპატრონეთო!“ გარდაიცვალა ნიკოს დედა. ის დარჩა სრულიად ობოლი, ის იმ დროს ყოფილა 7-8 წლის. ეფროსინია ქალანთაროვისამ აიყვანა თავის ოჯახში ნიკო ასალზრდელათ და პატრონობდა მას. ეფროსინიას ჰყავდა სამი ქალიშვილი და სამი ვაჟი. უფროსი ქალი კეკე გამაზოვის მეუღლე ტფილისში სცხოვრობდა უკვე დაქირავებული, მომდევნო ანა ბეკოსეფოვის მეუღლეც ტფილისში ცხოვრობდა მხოლოდ უმცროსი ელისაბედი შემდეგში ხანკალამოვის მეუღლე ამჟამად სწავლობდა ქალთა ინსტიტუტში. ვაჟიშვილებიდან უფროსი ადრე გადასცვლია, მომდევნო გიორგი სცხოვრობდა შულავერში იგი მისდევდა მეურნეობას. უმცროსი ქალანთარი ცოლშვილით სცხოვრობდა ტფილისში. როდესაც ნიკო ფიროსმანი ყოფილა 12 წლის მაშინ გიორგი ქალანთაროვს წამოუყვანია ნიკო ტფილისში თავის ძმის ოჯახში. მხოლოდ რამოდენიმე ხნის შემდეგ ნიკო გადავიდა უფროს დასთან კეკე გამაზოვთან, რომელიც აქვე სცხოვრობდა მათი დაი ანა ბეკოსეფოვისა. და ძმა ქალანთარ ქალანთაროვი ესენი გაერთიანებული იყვნენ ერთს დროს დიდ ოჯახათ, სცხოვრობდნენ თათრის მოედნის ხლოს საკუთარ სახლში და დაკავებული ჰქონდათ ორი სართული. უმცროსი დაი ელისაბედი, როდესაც ინსტიტუტი გაათავა, ცოლად გაჰყვა ტფ. მოქალაქე ზურაბ ხანკალამოვს, რომელიც ბაქოში სცხოვრობდა.

ნიკო ქალანთაროვის ოჯახის წევრებს ყველას უყვარდათ განსაკუთრებულ პატივსა სცემდა. ქართული წერა-კითხვა შეასწავლა ანა ბეკოსეფოვმა. ამჟამად ანა ბეკოსეფოვისა 80 წლამდე მიხწეული მოხუცი ... ან ასე დაახასიათა ნიკო. „პატარა ნიკო ძალიან გონიერი ყმაწვილი იყო. მას უყვარდა წიგნების კითხვა, ხატვაც. მისგან ოთახის კედლები ნახშირით ან ფანქრით იყო მოხატული, რისთვისაც მეცა და ჩემი უფროსი დაი უჯავრდებოდით მაგრამ თავისას არ იშლიდა. როდესაც ჩვენ საზაფხულოდ ვიყავით კოჯორში იქაც ხატავდა.

როცა ნიკომ თავისით შეისწავლა ხატვა, მაშინ მან ფერადებით ტილოზედ დახატა სურათი ისეთი სინამდვილით იყო მიგზავსებული ნამდვილს, რომ ყველანი აღტაცებაში მოდიოდნენ.

ერთხელ ნიკომ ჩვენი სახლის სახურავიდან დახატა მშვენიერი სურათი: გაღმით მდებარე მეტეხის ციხე-ეკლესია. ნიკო ისეთი პატიოსანი და ერთგული იყო, რომ ჩვენ მას ვანდობდით მთელს ჩვენს ოჯახს რომელიც მაშინ მდიდარი იყო. ნიკოს ნივთიერი სიმდიდრე არ აინტერესებდა. მისთვის არსებობდა მხოლოდ ხატვა და როდესაც კი თავისუფალი დრო ჰქონდა ხატვაში იყო გართული.

ხშირად ნიკო სახლის ეზოში ერთი კუთხიდან მეორემდე დადიოდა ღრმა ფიქრებში გართული. ის ამ დროს ალბათ ოცნებობდა და როდესაც ასე დაინახავდა მას ჩემი და კეკე, შეშინებული მეტყოდა,

„ხედავ ჩვენს ნიკოს როგორ ჩაფიქრებული დადის, ჭკუაზედ კი არ შესცდესო“!

ნიკოს ჰქონდა მიჩენილი საკუთარი ოთახი საცხოვრებლად, რომელიც ეხლაც იმავე სახით არის შენახული—(მე ის ოთახი მაჩვენა ქალ. ანა ბეკოსეფოვისამ, როდესაც ნიკო კარგად გაზარდა, მაშინ მან გამოგვიცხადა: მომბეზრდა სახლში ყოფნა მიმეცით სადმე ხელობაზეო!..

მე მყავდა გერმანელი ნაცნობი მესტამბე მიღლერი, რომელსაც მიხეილის ქუჩაზედ ჰქონდა სტამბა. მივაბარეთ ნიკო სტამბის საქმის შესასწავლად. მან აქ დაჰყო წელიწადზედ მეტი ისწავლა ხელობა. მაგრამ თვისი ბუნებით ვერ შეეთვისა იქაურ პირობებს და მალე მიატოვა. როდესაც ჩვენ გამოვკითხეთ მიზეზი თუ რად დააჩება თავი სტამბას ნიკომ განაცხადა: „მე იქ ყოფნა არ შემიძლიან. იქ ერთი მომუშავისაგან გარყვნილი სიტყვები ისმისო„. იმდენად ფაქიზი ბუნებისა იყო არაჩვეულებრივი თავმოყვარე და ამასთანავე იშვიათი სამართლის მოყვარული. საწყლის შემბრალე. ის არა თუ მარტო ხატავდა, არამედ ის საზოგადოდ ნიჭიერი იყო, ერთხელ მან თხელი ფიცრებიდან გაგვიკეთა პატარა სასახლე ფანჯრებით მშვენიერი ფასადისა. იგი გვედგა ყოველთვის სასტუმრო დარბაზში და



1) ელისაბედ ქალანთაროვის ასული. ფიროსმანიშვილის პირველი სიყვარულის საგანი

2) ანა ქალანთაროვის ასული ბეკოსეფოვის. (რომელმაც წერა კითხვა ასწავლა ფიროსმანს).

3) ახვერდი ქალანთაროვის მეუღლე ეფროსინა. რომელმაც ექვსი წლის ფიროსმანი გაზარდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღდგომას, ან ახალწელიწადს, შიგნიდან სანთლით ვანათებდით ღამით მეტად ლამაზი სანახავი იყო ეს სასახლე ოთხი წლის წინედ ერთს ჩვენს ნათესავს ვაჩუქეთ, როდესაც ნიკო კარგად დავაჟკაცდა მაშინ იგი რკინის-გზაზედ შევიდა კონდუქტორად კვლავ მოდიოდა ჩვენს სანახავად. ერთხელ მან შოკოლადით სავსე ყუთი მოგვიტანა. რისთვისაც მე მას შენიშვნაც მივეცი. ნიკო არც აქ დარჩა დიდხანს. როდესაც იგი ჩვენი ოჯახიდან წავიდა იქნებოდა 26-27 წ.

აბა ბეკსეფოვის სახლშივე აღმოჩნდა ნიკოს ახალგაზრდობის ფოტოგრაფიული სურათი, რომელიც მათი თქმით გადაღებული უნდა იყოს 1881 ან 2 წლებში. (როდესაც ნიკო იქნებოდა 22 წლის.

ვიდრე ნიკო ქალანთაროვების ოჯახს მიატოვებდა სამუდამოთ, მან ამ ხნის განმავლობაში რამოდენიმე წელი დაჰყო ქელანთაროვის უმცროს ქალთან ელისაბედთან, ხანკალამოვის მეუღლესთან, რომელიც ამჟამად 74 წლის მოხუცია. უკანასკნელმა თავის შვილთან ერთად, მომცა აგრეთვე ცნობები ნიკო ფიროსმანის ყრმობის შესახებ.

ელისაბედ ხანკალამოვისა ბაქოდან ტფილისში გადმოსახლების შემდეგ მალე დაქვრივდა. მას ჰყავდა ვაჟიშვილი სოლომონი. ელისაბედი საცხოვრებლად დაბინავდა თავის და-ძმებთან, რომელნიც ერთად სცხოვრობდენ რამოდენიმე ხნის შემდეგ ელისაბედი გადავიდა ცალკე ბინაზედ. ნიკო ფიროსმანიც მასთან გადავიდა.

ელისაბედის ვაჟიშვილი სოლიკო. ნიკოზედ უმცროსი ყოფილა 12 წლით. მას ძალიან ჰყვარებია ნიკო.

სოლომონ ხანკალამოვი ასე ახასიათებს ნიკოს: „ნიკო ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარდა. მართალია ჩვენ სახლში სხვა მოსამსახურენიც გვყავდა. მაგრამ ნიკო როგორც ბავშობიდან ჩვენი ნათესავების ოჯახში გაზრდილი. სხვა მდგომარეობაში იყო ჩვენს სახლში. მას ვანდობდით ყველაფერს. იყო არაჩვეულებრივი გულწრფელი და მეტად თავმოყვარე. მას ისე ღირსეულად ეჭირა თავი, რომ ვერავინ გაუბედავდა რაიმე წყენას ან დაჩაგვრას. იყო სისუფთავის მოყვარული. უყვარდა სუფთად ჩაცმა. ღვინოს ახალგაზრდობისას სრულიად არ სვამდა. იყო მეტად ფხიზელი. დედა ჩემი მას აძლევდა ფულს ოჯახში დასახარჯავად. ანგარიშს არას. დროს არ სთხოვდა. მხოლოდ ჩვენ ეჭვიც არ შეგვეპარებოდა იმაზედ, რომ ნიკო მიითვისებდა თუნდაც ერთს გროშს. იგი იმდენად პატიოსანი იყო.

ის მე ხშირად მიამბობდა ძველ ქართულ საგმირო ზღაპრებს, გასაოცარი ლამაზი ენით, ისეთის ხელოვნებით მომითხრობდა რაინდების, დევების გასაოცარ საგმირო ამბებს, რომ მე მთლად ყურადღებათ ვიყავი გადაქცეული. ამავე დროს ნიკოს წინ ედო ქაღალდი და ყარანდაში სწრაფად ორიოდე ხაზის მოსმით ხატავდა იმ გმირებს, დევებს, რომლებზედაც მომითხრობდა ზღაპარს. ამგვარი იმპროვიზიციებით ზღაპრებმა ჩემზედ ღრმა შთაბეჭდილება დასტოვეს. სხვათაშორის მან ჩემ თვალწინ დახატა წითელი ფანქარით რუსოსმალთა ომის სურათი 1877 წელს.

დახატული იყო ბრძოლის ველი, ზარბაზნები და სხვა. მე ეხლა გახსენებისას ვრწმუნდები იმაში, რომ ნიკო ზოგიერთს ზღაპრებს თითონაც სთხზავდა, რადგან მას რაც უნდა ბევრი რამ ჰქონიყო წაკითხული, მაინც ამდენს ვერ მიაბამდა. ამიტომ ჩემის აზრით ის იყო არა თუ ნიჭიერი, მხატვარი, არამედ ამასთანავე ბუნებით ნიჭიერი პოეტიც!..

მე ნიკოსთან შევიზარდე. მან ჩვენს სახლში დაჰყო რამოდენიმე წელიწადი. იგი უკვე დავაჟკაცდა, იქნებოდა 24-25 წლის ახალგაზრდა ამ ხანებში, ერთ დღეს ჩვენს სახლში შეიქმნა რაღაც ჩურჩული. გამოკითხვის შემდეგ გავიგე, რომ ნიკოს დედიჩემისთვის მოეწერა წერილი, რომლითაც სიყვარულს უცხადებდა. ამ წერილის შინაარსი, რომელიც დაწერილი იყო იშვიათ გრძნობთ. რამდენათაც დაახლოვებით მახსოვს შემდეგი იყო:

„მე კარგათ ვიცი, რომ ჩვენს შორის განსხვავებაა, მდგომარეობით, მაგრამ თქვენ როგორც განათლებული ადამიანი ამას არ მიაქცევთ დიდს ყურადღებას და მიიღებთ ჩემს წინადადებას რათა გამომყვეთ მეუღლეთ. გარწმუნებთ, რომ ეს არის ჩემი უფაქიზესი და გულწრფელი სიყვარული; მე იმდენათა ვარ თქვენს ოჯახთან დაახლოვებული, რომ იმედია ამაზედ უარს არა ჰყოფთ“!.. ამ წერილმა გამოიწვია ალიაქოთი ჩვენ ოჯახში. დედა ჩემს ეს ამბავი ძალიან ეწყინა. იგი ნიკოს ისე უყურებდა როგორც ძმას, რადგანაც ბავშობიდან იგი გაზრდილი იყო ჩვენს ნათესაობაში. ამ ამბის შემდეგ ნიკო იძულებული იყო გასცლოდა ჩვენს ოჯახს. იგი წავიდა ისევ ჩემი ბიძის ქალანთარ ქალანთაროვის ოჯახში, რომელთაც საკუთარი სახლები და ქარვასლა ჰქონდათ თათრის მოედნის ახლოს.

ეს შემთხვევა იყო ნიკოს ახალგაზრდობის პირველი სიყვარული. პირიქით ჩემთვის ძნელი იყო ნიკოს დაშორება რადგანაც მასთან ვიყავი შეზრდილი და მიყვარდა იგი. ამის შემდეგ ნიკოს სანახავად მე მივდიოდი ბიძის სახლში, და იქ ვხდებოდით ერთმანეთს. მე ვხედავდი, რომ ნიკო ხატვაში ნიჭიერი იყო, ამიტომ ურჩიე ის წასულიყო მხატვარ გ. ბაშინჯაღიანთან ეს იყო 1882 წელს. ნიკო მართლაც წავიდა მასთან, ბაშინჯაღიანს ენახა მისი ნახატები და ეთქვა ნიკოსთვის: „შენ გაქვს ხატვის ნიჭი შენგან კარგი მხატვარი გამოვა, მხოლოდ საჭიროა, რომ შეისწავლო ხატვაო“.

ნიკოს ამის შესაძლებლობა არ ჰქონდა, ამიტომ იგი ისევ თავისი გზით წავიდა. ამასობაში მე კორპუსი დავასრულე 1890 წ. და პეტერბურგში გამგზავნეს სამხედრო სასწავლებელში. ამის გამოისობით ჩვენ დროებით დავშორდით ერთმანეთს.

როდესაც მე სამხედრო სასწავლებელი დავასრულე და ტფილისში დავბრუნდი უკვე ოფიცრად კვლავ ვნახე ნიკო ფიროსმანიშვილი ეს იყო 1892 წ მას გაეგო ჩემი ჩამოსვლა, მოვიდა ჩვენსა თანაც ძველი ჩვეულებისამებრ ხელსახოცში გამოკრული ხილი მომიტანა „ფეშქეში“, გადამეხვია დამკოცნა, ურთიერთი სიყვარულით მოვიკითხეთ. ამ ხანებში ნიკო დამოუკიდებლად სცხოვრობდა. ტფილისიდან ჩემი წასვლისას რამოდენიმე წლის შემდეგ ის ქალანთაროვების სახლიდან წასულიყო ამჟამად კი ნიკოს ჰქონდა პატარა სარძევე სავაჭრო, ყოფილ ოლღას ქუჩაზედ, მელიქ-ნაზარიანცის სახლის პირდაპირ. მე მიველი მასთან სანახავად, ვკითხე მისი ვაჭრობის საქმის შესახებ. ნიკომ გულკეთილად გაიღიმა და მომიგო:—„რა ვქნა სოლიკოჯან ყველას ნისიად მიაქვს და მე აღარა მრჩება რაო!

ნიკო არ იყო ვაჭრად დაბადებული. მასში არ სჩანდა ვაჭრული სული. ის იმდენად ფაქიზი და გულწრფელი იყო, რომ მას ვერ წარმოედგინა ვერ დაეჯერა. თუ როგორ შეიძლება ადამიანის მოტყუება. ეს იყო რაღაც ფილოსოფიურად განწყობილი არსება. იგი სცხოვრობდა თვისი შინაგანი ცხოვრებით. იყო ღრმა სულიერი შინაარსის პატრონი. ფართო ბუნების. არა ჩვეულებრივად პატიოსანი გულკეთილი და ამასთანავე არაჩვეულებრივი თავმოყვარეც მას ამასთანავე სრულიად არ აინტერესებდა მატერიალური კეთილდღეობა. ჩემზედ ნიკო ახდენდა შთაბეჭდილებას თითქოს მასში განსახიერებულიყო რომელიმე მისი წინაპრის რაინდული სახე. ერთი სიტყვით ეს იყო „კაცი არა ამა ქვეყნიდან“. რისთივსაც როგორც ჩვენები, აგრეთვე ნათესაობაშიაც რომლებთანაც კი ნიკოს უცხოვრია თავიანთი გაუგებრობით, რომ ეს ადამიანი იყო განსაკუთრებული პიროვნება ხუმრობით ეძახდენ „ნეტარ ნიკოლოზს“ „უცნაურს“, „არა ნორმალურს“ და სხვა. მე კვლავ რუსეთში მომიხდა წასვლა რადგანაც სამსახურში იქ გამოამწესეს, მე და ნიკო ეხლა კი სამუდამოთ დავშორდით ერთმანეთს მე რუსეთში დიდს ხანს დავყავი, შემდეგ როდესაც დავბრუნდი საქართველოში მე ის აღარ შემხვედრია სადმე“!..

სოლომონ ხანკალამოვის დედამ ელისაბედმა შემდეგი ცნობები გადმომცა ნიკოს შესახებ: ნიკოს პატარაობიდანვე უყვარდა ხატვა. როდესაც ვინმე გროშებს აჩუქებდა ის მაშინათვე გაიქცეოდა იყიდდა ფანქარს ან ფერადებს და დაიწყებდა ხატვას. ის ბევრსა ხატავდა ამაში იყო გართული. ხატავდა პორტრეტებსაც და ამისათვის ის ცოცხალ ნატურას არ იყენებდა. ერთხელ დახატა მაგალ. ჩემი რძლის ბარბარეს პორტრეტი. როგორც ადამიანი იყო მეტად პატიოსანი. ზნეობრივი. თავმოყვარე და გულფიცხი. იყო თავის გამტანიც სახლში როგორც მასა სურდა ან ესმოდა. ისე უნდა გაეკეთებინა ყველაფერი. ნიკო იყო არაჩვეულებრივი მოწყალე გულისა უკანასკნელ გროშს გლახაკს მისცემდა. ერთხელ კარგად მახსოვს როდესაც ისევ ჩემი უფროსი დის კეკეს სახლში ვიყავით მოედანთან და ნიკო ჯერ იმათთან იყო, ნიკომ ეზოში შემოსულ მათხოვარს ვერცხლის სამ შაურიანი აჩუქა. ამაზედ ჩემმა დამ კეკემ დატუქსა ნიკო: „როგორ შეიძლება, რომ გლახაკს სამ შაურს აძლევ. მე შენ თავის დღეში ფულს აღარ მოგცემო“. ამაზედ ნიკომ მიუგო „რა ვქნა ქალბატონო, ხომ ხედავთ, როგორი საწყალი იყოვო“!

სოფიო ქალანათაროვის ცნობები ნიკოს შესახებ:

კარგათ მახსოვს როდესაც მე შემისრულდა შვიდი წელი ჩვენებს წვეულობა ჰქონდათ. ეს დღე ნიკომ შემდეგნაირად აღნიშნა, მას გაეკეთებია ყვითელ ვარაყიან ქაღალდის ჯაჭვი და ამით სასტუმრო ოთახის ერთს კედელზედ გამოეყვანა რუსულად წარწერა: „სონა 7 წლისაა“. მე ეს ისე მძლავრად ჩამეჭრა გონებაში, რომ ეხლაც ნათლად მახსოვს. რუსული კითხვა ნიკოს დედა ჩემმა შეასწავლა. იმის ოთახი ჩემი ოთახის გვერდით იყო. და როდესაც ღამით ნიკო დედიჩემისგან მიცემულ ძველი აღთქმის წიგნს ხმა მაღლა გარჩევით კითხულობდა, მე მესმოდა მისი ხმა „ი ბილა ნოჩ, ი ბილ დენ, დენ პერვი! და სხვა“ როგორც ადამიანი ნიკო იყო ძალიან პატიოსანი, მართალი და ძალიან ფაქიზი ბუნებისა ერთხელ ქუჩაში მისთვის ვილაც ბიჭს ეწოდებინა არამზადა. ამ სიტყვას ისე აეღელვებინა, რომ შემოვარდა დედაჩემთან აღშფოთებული და უთხრა: „მე არამზადა დამიძახესო“. ის ვერაფრით დააამშვიდეს. მაშინ დედა ჩემმა გადმოიღო გრიმში ზღაპრების წიგნი გადაუფურცლა და ნიკოს უთხრა: „აი ნიკო, რა გაჯავრებს ეგ სიტყვა დაბეჭდილიც კი არის და წიგნში სწერია“.

დედამ ამასთანავე წაუკითხა ერთ-ერთი ზღაპრის სათაური რომელსაც აწერია „არამზადა“. მართალია ამის შემდეგ ნიკო ცოტათი დამშვიდდა, მაგრამ მაინცა სთქვა „მართალია, წიგნშიცა სწერია, მაგრამ, ეს ცუდი სიტყვა იმას ჩემთვის არ უნდა ეთქვაო“!..

სოფიოს სიტყვით ნიკოს ძალიან ჰყვარებია თეატრი: როდესაც დედა ჩემი წავიდოდა ოპერაზედ ნიკოც უეჭველად წაჰყვებოდა გამოსაცილებლად. იგი ავიდოდა ქანდარაზედ და იქიდან ისმენდაო. კარგათ მახსოვს, რომ ნიკო თავისი ტოლ ამხანაგებთან ჩვენი სახლის ეზოში გამართავდენ ხოლმე წარმოდგენას. ასეთ წარმოდგენებში ნიკო და სოლიკო ხანკალამოვიც იღებდენ მონაწილეობას. ერთს ასეთ წარმოდგენის დროს მახსოვს ნიკო თამაშობდა მხოლოდ მიმიკით და ჟესტიკულიაციით ამაზედ ნიკოს ეწყინა და უთხრა: ეგ თქვენი საქმე არ არის მე როგორც მინდა ისე ვითამაშებო“! ნიკოს მხატვრობის შესახებ შემიძლია გითხრათ შემდეგი:

— „მახსოვს ერთხელ ნიკომ ჩვენი სახლის სახურავიდან ფერადებით დახატა მოედნის უბნის ერთი ნაწილი, სურათზედ მოსჩანდა სახლების სახურავები ზევიდან გადმოხედვით. სურათი შეზავებული იყო შესაფერისი ფერადებით და ახდენდა კარგს შთაბეჭდილებას და ყველა ის ბავშობის მოგომება, რაც კი არის დაკავშირებული ნიკოსთან ყოფნის დროს ეს არის ერთად-ერთი ნათელი მოგონებაო“! დაასრულა სიტყვა სოფიო ქალანთაროვმა.

ლიზა ქალანთაროვის, სოფიოს უმცროსი დის მიერ მოცემული ცნობები ნიკოზედ. „მე მახსოვს ნიკოს ძალიან უყვარდა ხატვა, მან დახატა ტილოზედ „ნარიყალა“-ს ნაწილი და ძალიან კარგი იყო სურათი „თესლეულობის გამყიდავი თათარი“, მაშინ ასეთი დუქნები

მაგრამ ხსენებულ მასალებში არ იყო ცნობები ფიროსმანის ყრმობის შესახებ. ქალანოაროვების ოჯახში შეკრეფილი ცნობები შეიცავენ სწორედ ამ ხნის ძვირფას ცნობებს საქართველოს დიდი მხატვრის ცხოვრებიდან.

ბევრი იყო მოედანზედ და ნიკომ ნამდვილიდან დახატა. ჰქონდა აგრეთვე სურათი ბატანიკური ბაღის გაღმით მდებარე გორები. პატარა სახლებით: ყველა ეს სურათები ჩვენს სასტუმრო დარბაზში გვქონდა დაკიდული და როდსაც სტუმრები ხედავდენ ყველანი აღტაცებულნი იყვნენ ნიკოს მხატვრული ნიჭით. ეს სურათები დაიკარგა. რადგანაც ჩვენ საცხოვრებლად სხვა სახლში გადავედით.

ეკატერინე გიორგი ქალანთაროვის ასულის მელიქ-ფაშაევის ცნობები. ეკატერინე მელიქ-ფაშაევის გადმოცემით ნიკო ყოფილა ძალიან ცნობის მოყვარე. ყველაფერი აინტრესებდა უყვარდა მეცადინეობა. იგი ყოველთვის ხატავდა, სწავლობდა ზეპირად ლექსებს და შემდეგ როგორც დეკლამატორი გვიკითხავდა. ხატავდა უფრო პორტრეტებს. ყველაფერი ზემოდ მოყვანილი ცნობები ნიკო ფიროსმანიშვილის შესახებ მომცეს ახვერდი ქალანთაროვის ქალიშვილებმა და აგრეთვე მათ ნათესავებმა, რომლებთანაც ყოფილა და პატარაობითვე ვიდრე 28 წლამდი დაუყვია აღზრდილა ფიროსმანიშვილი.

ვ. გუთლიაშვილი.

---

*) ფიროსმანის ბიოგრაფიული მისი ცნობების აღმოჩენა პირველად გიორგი ლეონიძეს ეკუთვნის (იხ. გაზ. „ბახტრიონი“, სადაც სის ვის. დაიბეჭდა აგრეთვე „ბახტრიონის“ საგანგებო ნომერი—ნიკო ფეროსმანზე). , რედ.




## დღის სურათები ღამის შუქებში

ყველა თვის წესზე არის შეშლილი
და მასთან ყველა მხოლოთ დროებით:
ზოგი ქუჩებში „ბოტებით“ დადის
და ზოგი კიდევ—უძიროებით.
ზოგს დააქვს „ტროსტი“, ციდის ოდენა,
ზოგი დაათრევს ხის სიგრძე გაოგანს,
ზოგს წელზე ქამრის მოჭერაც უჭირს,
ზოგიც ზედ მძიმედ იკიდებს ნაგანს.
ზოგს თავზე ბუხრის ქუდი რომ ხურავს,
ზედ ყაბალახიც აქვს მოკეცილი,
ზოგი კი თავს ქუდს სულ არ იკარებს
და დააქვს თმები, როგორც ჯეჯილი...
ზოგი უმშვენებს გვერდს თავის სატრფოს,
აქვს ხშირად მკლავიც მკლავში გაჩრილი,
ზოგი კი ცალად პრუწავს წითელს ტუჩს
და დააქვს სახე, პუდრ-გადაცრილი!..
ზოგს აქვს აკრული კანჭებზე გეტრი
და ზედ ყურ-ჯიბას ათრევს „გალიფეს“,
ზოგი ატარებს მოკლე „ბაბანაკს“,
ზოგნიც „კლეშებით“ ჰგვანან ხალიფებს!..
ზოგს ავტომობილით დაჰყავს ქოფაკი,
ზოგს ნორჩი ბავშვი—პატარა ეტლით,
ზოგს მოფენილი დააქვს საყელო:
წინ—კაშნით, უკან—საკუთარ ქერტლით!..
ზოგს ბაზრით მოჰყავს იხვი, ან ბატი,
ზოგს კი ქათმები უზის ძარებში,
ზოგს აქვს ულვაში ისე გაპრეხით,
რომ ვერც გაარჩევთ კომისარებში!..
ზოგს ულვაშები სულაც არა აქვს
და სამოცი წლის ჰგავს თვრამეტისას,
ზოგი ანგელოსს ჰგავს შესახედათ
და ზოგის ნახვა—პირდაპირ—მტრისას!..
ზოგს დააქვს ზურგით ტვირთი უზომო
და ირკალება წელში, ვით მშვილდი,
ზოგს, თითქოს სარი გადუყლაპავსო,
და, ვით ქაობი, სახე აქვს მშვიდი!..
ზოგი საქმეზე ისე ისწრაფვის,
რომ გეგონებათ გადარეული,
ზოგი მიდის და მთელ დღე ფრჩხილებზე,
თუ თმებზე არის გადალეული!..
ზოგი თოფებით წრეშიგნით მიჰყავთ
და ზედაც ფრთხილად უჭირავთ თვალი,
ზოგი კი დადის უწრე-უთოფოთ,
ბენცელ-ბენცელით, როგორც რომ მთვრალი!..
დადის და გნარავს ზანტად ყალიონს,
ან დაჰყავს ძაღლი, ღვედ-გამობმულად,
ზევით ცა უჩანს მას ბამბის კარვად
და ქვეშ ქვის გზები—ზატის ბუმბულად!..
ზოგი ძაღლს კიდევ ხელით დაათრევს,
მკერდშიც ჩაუკრავს, ვით ღვიძლი შვილი,
იქვე კი ბავშვი სდგას, ტომრის ჩვრებში
და ქუჩის მტვერში მთლად ამოსვრილი!..
ზოგი... ეჰ, ზოგი!.. არც მე ვარ თეთრი:
მქვია წითელი და ვარ პოეტი,
ვწერ, ვამხელ, მაგრამ, ვსთქვათ, რით არ მჯობნის
უკანასკნელი მიეთ-მოეთი?!..
ჩემს ნათქმს დაჰყნოსენ, გაიცინებენ,
იტყვიან: „არის მოცლილი, ბრიყვი!“...
მაშინ, როს სიტყვას მიეთ-მოეთის
ხეზეც ასდევენ, როგორც რომ ციყვი!..
ყურ-მოკრულს ხშირად ფაქტად აქცევენ,
ფაქტებს აქრობენ, ვით მოჩვენება...
მე კი ამ დროს მკლავს და გულს მიღადრავს
მიეთ-მოეთთა ტკბილ-მოსვენება!..

ონისიმე.




შემოვიდა კასირი,
შავი ზრახვით ავსილი..
ჯიბე ცარიელია,
იქ კი ულეველია!

ეროვნული ბიბლიოთეკა



ბევრი სულ არ იფიქრა,
არც მომენტი გაუშვა;
ჩერვონეცი „პაჩკობით“
აუსვა და აუსვა!..



კაზინოში გულუხვად
ჯერ „მაზები“ წაუსვა;
შემდეგ როცა გახურდა
სთქვა: ბედსა ვცდი, რა უშავს!
რაკი ჩაჯდა, წააგო:—
ცხრას უშლიდენ, და ხან რვას!



აქ უცბათ რევიზია
იმასთანაც მიცურდა;
არ შეერგო თამაში
აკმარეს რაც იქურდა;
და კასირი დავსილი
ციხეში გაბითურდა.
ამბობენ, რომ ამ კასირს
მიჰყვება სხვა მრავალი;
სახაზინოს გამფლანგველს
არ აქვს გზა წასავალი!
ვირის აბანოშია
[illegible]

## გერმანიას იწვევენ განიარაღების კონფერენციაზე.



გერმანია ღილინებს:

ეს კონფერენცია
განიარაღების,
თოფ-ზარბაზანით და
ტყვიით გალაღების,
მე მომიწვევს აქ და
მეც ჰა, გიახელით
ლატაკი, მშიერი
და შიშველი ხელით.
მიკვირს, რა საჭირო
იყო ჩემი ხლება,
მე ხომ ეს საკითხი
უკვე არ მეხება,
რადგან, რაც კი მქონდა,
წაიღეს ფრანგებმა,
და თუ მიწევს, ისევ
მშიერ კუჭთან შებმა!..

ტიპ.

---

### ზრდილი ოფიციანტი.

ერთმა ოფიციანტს „ნაჩაი“ შეაძლია, ოფიციანტმა არ მიიღო.

მახლობელ მაგიდაზე მჯდომმა დაინახა:

— ძლივს ვნახე ადამიანი, რომელიც თავს არ იმცირებს! გაქებ, ამხანაგო, რომ უარყავ საჩუქარი!

— უარვყოფდი, მა რა? სხვები მანეთ ნაკლებს არ მაძლევენ და ამან კი შაურიანი შემომაძლია?!.

კედელზე გაკრული განცხადება კი ასე ლაღადებდა: „ვინც საჩუქარს იღებს, ის ქრთამს იღებსო“.

### კეთილი უფროსი.

— თქვენი განყოფილების უფროსს აქებენ!

— რა უჭირს! მასზე ვერაფერს იტყვი!

— ნუთუ იმდენად კარგი კაცია?

— რის კარგი? მასზე ვერაფერს იტყვი!.. იტყვი და, სამსახურიდან დაგითხოვს.

### უპროტექციოდ.

— ამხანაგო გამგევ! არ შეიძლება სამსახურში მიმიღოთ? ვიცი: საქმის წარმოება, ბუხჰალტერია, ტეხნიკა, მეხანიკა!..

— ვაკანსია არ არის, ამხანაგო!

— კარგად ვიცნობთ თქვენს ძმას...—ვიცნობ და ბიძაშვილიცა ვარ მისი!..—მართლა?!. მაშ, აქამდის რად მალავდი თქვენს კვალიფიკაციას?!.

დასწერეთ განცხადება!

---

## პრინციპის კაცი

თეოფილ უხრელიძე უკვე ჭაღარა შერთული და წელში ამოხრილი ადამის დროინდელ სერთუკით, ერთი წლის გაურეცხავ საყელოთი და ტოტებ-შემოცვეთილ შარვლით სრულ ცხრა საათზე სამსახურში თავის თანამდებობას ასრულებს.

ცხვირზე წამოიგდებს სათვალეებს და მიწერ-მოწერის საკანცელარიო ქაღალდებს ათვალიერებს.

ვინ იცის, მერამდენე წელიწადია, რაც თეოფილ უხრელიძე ერთსა და იმავე სკამზე ზის?

ამ ჟამად იგი ადგილკომის მდივანია.

ყველას თავაზიანად და ზრდილობით ეპყრობა—მუდამ ცდილობს, არავის აწყენიოს, მაგრამ, თუ საქმე მოითხოვს და რომელიმე მოხელეს შენიშვნას მისცემს, ან უწესოებას დაინახავს და უნდა გამოასწორებინოს, აუღელვებლად დიდ ნოტაციას წაუკითხავს, შესაფერ იგავს მოუყვანს და ბოლოს უსათუოდ კანონს დაეყრდნობა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზოგი სახლის პატრონის ყოფიდან



უცხო, რომელსაც სურს სხვისი სახლის სახუ
რავზე დროებით მოკალათება:
აქ ვინ არის, ჩემთვის
რომ ამოუსწრია?
ნეტა, მაცოდინა?!.
ჩიტია, თუ ტრია?
სახლის პატრონი:
ვა, ვინა ხარ, რა გსურს?
სახლი არის ჩემი!
აი, „კუპჭა"! ფულიც
მაქვს შიგ მინაცემი...
სანამ „ქვემ" ოთახი
განთავისუფლდება,
მომიწია მანამ
აქ შემოსახლება!..

ტიპ.

აძა და ამ მუხლის ძალით და სხვა.

არც სვამს, არც თუთუნს ეწევა.

არც კარტს თამაშობს.

ცხრამ დარეკა. ის უკვე თავის სკამზე ზის.

ხუთი წუთით დაიგვიანა რემენგტონზე მომუშავე ქალმა.

თეოფილე საათს დაჰყურებს და ეუბნება:

— ვინც წესიერებას არღვევს და თავის დანიშნულ დროს არ მოდის, ის დიდს ბოროტებას სჩადის. ის ფულის გამფლანგველზე უფრო დამნაშავეა!

— გეფიცებით, ტრამვაი არ იყო. მოვიდა ტრამვაი და ადგილი აღარ იყო—თავს იმართლებდა ახალგაზრდა ქალი.

— ბევრი ლაპარაკი და неаккуратность მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზია სოციალიზმის გზაზე! აი, მე უპარტიო ვარ, მაგრამ გულში ნამდვილი კომუნისტი ვარ და ყველაფერიც ვიცი!

რემენგტონზე მომუშავეს ესეთი ლაპარაკი ყოველდღე ესმის.

და ყოველდღე ერთი და იგივე მეორდება!

შემოდის კურიერი. სჩანს, ღამით ღვინო უსვამს, ცოტა სიმთვრალე დილითაც გამოჰყოლია, ალბად, ნაბახუსევზე არყები თუ დაულევია. თვალებ დაჭყეტილი სდგას დარცხვენით, თეოფილე კი დარიგებას უკითხავს:

— ქრონიკული ალკოგოლიზმი და კავშირის წევრობა ერთად არ შეიძლება მოთავსდეს. თუ ეს თქვენი ავადმყოფობაა, რაიც ამა და ამ წესდების ძალით შელავათს გაძლევთ, მიმართეთ ექიმს. სხვაფრივ გამოგრიცხავთ კავშირიდან.

კურიერი თავს მართლულობს: ქვისლი ჩამომივიდა სოფლიდანაო, მაგრამ, განა, ყოველდღე ქვისლის ჩამოსვლით შეიძლებოდა თავის მართლება?!.

— ხელის ჩამორთმევა აკრძალულია, ეუბნება თეოფილე საქმეზე მოსულს.

— ხელის ჩამორთმევით გადადის ყოველგვარი ავადმყოფობა!

— ვინც კავშირის საწევრო გადასახადს არ იხდის, გამორიცხულ იქნება კავშირიდან—ეუბნება მეორეს—პროფდისციპლინა საფუძველია მუშაობის!

სრულ ოთხს საათზე პორთფელში აწყობს ქაღალდებს და სახლში მიდის.

გზაზედ მათხოვარი აჩერებს და ატირებულ ხმით ლუკმის ფულს სთხოვს:

— ვინც არ შრომობს, ის არც უნდა არსებობდეს—უკითხავს მთელს ლექციას,—მათხოვარი არის სოციალური პარაზიტი, პრინციპიალურად წინააღმდეგი ვარ...

სახლის შესავალთან მეეზოვეს შეეხეჩება.

— ბატონო თეოფილ! გეკუთვნით კი პატარა „ნაჩაი" მიბოძოთ! ბატონო, რა მძიმე იყო თქვენი მაგიდა, დილას თქვენმა მეუღლემ გადმომატანინა...

— ჯერ ერთი, რომ ბატონები ჩვენ აღარ გვყავს, რით ვერ გაიგე, და მეორეც, „ნაჩაი" და ქრთამის აღება ერთი და იგივეა. ეს ძველი ნაშთი მოსპობილია და ამცირებს ადამიანის ღირსებას.

სახლში თეოფილეს შიშით ხმა ვერავის ამოუღია.

ბავშები ფეხის თითებზე დაიარებიან.

თეოფილე კი დააბიჯებს და ხან ჩაიღიღინებს.

ფანჯარიდან მტვერს გადმოსწმენდს და მოჰყვება.

— ყოველგვარი უსუფთაობა აჩენს ავადმყოფობას, რადგან დაგროვილი მტვერი ბუდეა მიკროორგანიზმებისა, რომელთაც ეწოდება ბაცილები.

თეოფილეს არ ჰყავს მოსამსახურე.

პრინციპიალურად წინააღმდეგია ყოველგვარ ექსპლოატაციის, თუმცა თავისი დედიდა დილით-საღამომდე ფეხს არ ჩახრის და სულ მუშაობს: ხან რეცხს, ხან ოთახს ასუფთავებს, სადილს უმზადებს და უვლის მთელს ოჯახს. მაგრამ ეს ხომ მსახური არ არის და არც ფულს იხდის: არც შეიძლება პრინციპიალურად წინააღმდეგი იყოს!

გემრიელად მიირთმევს სადილს, ერთს ბოთლს ღვინოსაც გამოსცლის, შემდეგ გაზეთსაც წაიკითხავს. (გაზეთი უფასოდ დაწესებულებიდან მოაქვს).

თეატრში არასდროს წავა: თეატრში ჯერ კიდევ „მეშჩანურ" პიესებს სდგამენ, პრინციპიალურად წინააღმდეგია ასეთ რამეში ფული დახარჯოს!

ვახშამიც ყოვლად დაუშვებელია.

კუჭს აწვება და კაცი ვერ ინელებს.

ვახშამში დახარჯული ფული—გადაყრილია.

ცხრა საათზე მიწვება და ისეთ ხვრინვას ამოუშვებს, რომ ბევრჯელ მეზობლები შემოცვივნულან და მისთვის ჩხუბი აუტეხიათ, მაგრამ თეოფილეს შემოსული მეზობელი თვითვე გამოულანძღია, რადგან მათ ნება არ ჰქონდათ ძილი დაეფრთხოთ, ან უდროოდ კარები დაერაკუნებინათ!..

ფიდო.

## ბათომიდან

ნაახალწლევია მინდა მოგართვა ძღვენი,
კარგი, სასახელო და არ შესარცხვენი.
თუ რამ იპოვება, ჩვენს ქალაქ ბათომში,
ჩურჩხელა და თხილი, ვაშლი, ხურმა, კომში...
მსუქანი ვაჭრები და გრძელ-წვერა მღვდელი,
სპეც-ოტვესტვენები, ახალი თუ ძველი...
ყველა გამგეები, ყბათა ასალები,
ძველი მოხელენი, ნეხვში ჩასაგდები...
კარგი მიკიტნები, „პურ ღვინო-"სი,
„რური"-ს,
მათი ძმები ყველა, ასაწევი ყურის,
საქმეთ მმართველები, მათი „დელოები"-თ,
ვინც რომ ყველასაგან იხსენების „ქებით",
„რემინგტონისტები", ტურფა და ნაზები,
„უზორ" მოტანილი მათი ნახაზები.
ისინი ჰირები და ისეთი ინიკ.
რომელმაც წელს შობა ორჯერ გაითეხა.
ჩვეხ ხარჯთ აღრიცხვასაც ძენ გადმოქცემთ
სრულად,
რადგან იგი ჩვენზედ მუდამ არის მტრულად...
მისით სარგებლობა შენ იკისრე თავად,
ის მოსკოვში ცხოვრობს, წადი სანახავად.
ერთი კიდევ დამრჩა ძღვენში ჩასადები
უნდა დავუმატო „კონტრაბანდისტები"...
პუდრი, შევიოტი, თხელ-თხელი ჩულქები,
ინდიგო, კავერკოტი, მათი ნაჩუქები...
ამ დიიძალი ძღვენით, „ნიანგო" გეწვევი
აღდგომვეს ცხენით მე წამოგეწევი!..

პ. ობოლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ლადო კოტრიკას მოღვაწეობა

თებერვლის რევოლიუციამ იმ დროს მოუსწრო ლადო კოტრიკას, როცა ის იზეპირებდა: „რწყილი ახტა-დახტა და გადახტა, ჭიანჭველა ახტა-დახტა და წყალში ჩავარდა“-ო. ამ დღიდან ის რევოლიუციონერი გახდა და აღარ აინტერესებდა თუ რა მოუვიდა საწყალ ჭიანჭველას, ან რა შრომა გასწია რწყილმა, რომ დაეგრიხა თოკი და თავისი მეგობარი გადაერჩინა დაღრჩობას.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კოტრიკა ნიჭიერი ყმაწვილი გამოდგა—ყოველგვარ გაჭირვებიდან მოხერხებულად დააძვრენდა თავს.—მიუხედავად იმისა, რომ პირველ ხანებში ურევდა ერთი-მეორეში ობსერვატორიას, კონსერვატორიას, ლაბორატორიას და აუდიტორიას, ისე გაბედულად განმარტავდა რომელიმე დებულებას, ისე გადაჭრით და მტკიცედ იტყოდა ლაბორატორიის შესახებ, რომ იგი ერთი აზრით გამსჭვალულ ხალხს წარმოადგენსო, რომ გლეხობლობდა. ერთად ერთი ნაკლი (თუ ეს ნაკლად შეიძლება ჩაითვალოს) ის იყო, რომ სწამდა, ღრმად სწამდა ავტორიტეტი და აქედან გამომდინარეობდა მისი მერყეობა. ის საქართველოს ყველა პარტიაშია ნამყოფი. ორატორი მასზედ დიდ გავლენას ახდენდა. პარტიიდან პარტიაში გადასვლა უმთავრესად ორატორის გავლენით ხდებოდა...

1921 წელმა ლადის სოც.-ფედერალისტთა პარტიაში ყოფნის დროს მოუსწრო.

როცა ეს პარტია ორ ნაწილად იყოფოდა, ლადი დელეგატათ გახლდათ კონფერენციაზე და მის გულში ღრმად პროფ. ნუცუბიძის სიტყვები: „წარმოიდგინეთ მოქალაქენო დიდი ქარიშხალი, ამ ქარიშხლის წინაშე ამაყად სდგას ძლიერი მუხა, ის ქედს არ იხრის სტიქიონის წინაშე, ლერწამი კი ქარიშხალის ქროლაზე წაწობა, ჩადგა ქარიშხალი, ამაყი მუხა დამსხვრეულია, ლერწამი კი ისევ ფეხზე წამოდგა... ჩვენ უნდა ვაწარმოვოთ წაწოლის პოლიტიკა...

ამ დღიდგან ლადი მემარცხენეთა რიგშია.

სანამ ამხ. კოტრიკას რევოლიუციუნურ მოღვაწეობის აღწერას შეუდგებოდეთ, აუცილებელია ვიცოდეთ, თუ როგორ გახდა იგი კომუნისტი.

მემარცხენე სოც.-ფედ. პარტიის კონფერენციაზე სწყდებოდა საკითხი გაკომუნისტების შესახებ. ერთი ენა-მახვილი დელეგატი ასე ასაბუთებდა გაკომუნისტების სარგებლიანობას: „მოლას ყველაფერი მოპარეს ღამით. გამოღვიძებული მოლა გაჰყვა ქურდებს, როცა ქურდებმა უკან მოიხედეს და შეეკითხნენ, თუ სად მოდიოდა მოლა, მან ასე უპასუხა,—ჩემი ყველაფერი თქვენ მიგაქვთ, ალბათ თქვენთან მასახლებთ და მეც აი, მოვედიო. ჩვენი საქმეც ასეა. ავტონომია, ფედერაცია, მიწის სოციალიზაცია, ყველაფერ ამას ანხორციელებენ კომუნისტები და ჩვენც მათთან მივიდეთო. ეს სიტყვები ძალიან მოეწონა ამხ. კოტრიკას. არაფერი ჰქონდა ამის საწინააღმდეგო და გადაერიცხა კომპარტიაში...

სამწუხაროა, რომ დიდი მოვლენების ნამდვილი მიზეზები ხშირათ გაურკვეველი რჩება, აი, მაგალითად: პუანკარეს გადადგომის მიზეზათ ბევრი რურს ასახელებს, საქართველოშიც, ალბათ, ბევრია ისეთი, რომელმაც არ იცის ლადო კოტრიკას და ქვალონის პროლეტარიატის მნიშვნელობა პუანკარეს გადადგომის საკითხში. საქმე კი ასე იყო: ქვალონის მრავალრიცხოვანმა პროლეტარიატმა ლადო კოტრიკას ინიციატივით პუანკარეს წინააღმდეგ საპროტესტო რეზოლიუცია გამოიტანა. ბებერი პუანკარე ამ მოვლენამ ძალზე შეაშფოთა. მთელი კვირა ეძება ქარტაზე ქვალონის სახელმწიფო, იგი ვერსად აღმოაჩინა. ქვალონი არ წარმოადგენდა არც გაწითლებულ ჩინეთს, არც იაპონიას და მით უფრო არც ეგვიპტეს. პუანკარე ღრმად დარწმუნდა, რომ ქვალონი ეს ანტანტას გარეშე დარჩენილი სახელმწიფოთა კავშირიაო, მუხლები აუკანკალდა შიშისაგან, აღარ მოისურვა თავისი თვალით ენახა საფრანგეთის დაღუპვა და თავის დახრჩობა გადასწყვიტა (გაზეთებმა უთქვეს კი თავი ვერ დაიხრჩო—ტახტი კი ერიოს გადასცა). ჰო და, იმას ვამბობდი, პუანკარეს გადადგომას ზოგი რურს აწერს, ზოგი კიდევ არჩევნების მიზეზს, ნამდვილი მიზეზი კი ლადო კოტრიკას რევოლიუციონერობაა და ბევრმა ეს არც იცის.

სარწმუნოების საკითხი ლადის აზროვნებაში ორ პერიოდათ იყოფა—ამხ. კალინინის საქართველოში მოსვლამდე და იმავე ამხანაგის საქართველოში მოსვლის შემდეგ. ამხ. კალინინის მოსვლამდე ის მტკიცედ ატარებდა ცხოვრებაში ეკლესიების დახურვის პოლიტიკას. მან რამოდენიმე მოხსენება წაიკითხა, ხუცებს, როგორც წესი და რიგი იყო, შეუკურთხა და მთავარ ეკლესიებს საკუთარი ხელით მოაგლიჯა ჯვრები.

როგორც მკითხველებმა იციან ამხ. კალინინმა „საწყალ“ მღვდლებს მფარველობის კალთა გადააფარა და დეკრეტის ძალით შვიდ მორწმუნეს უფლება მიეცა ეკლესიის გახსნის. ამის შემდეგ, ამხ. კოტრიკამაც რადიკალურად შეიცვალა აზრი, ან უკეთ რომ ვსთქვათ, აღებულ „კურსს“ მტკიცედ გაჰყვა.—ის დღეს მღვდლებს იცავს და ბეჯითად მოითხოვს თეატრების ეკლესიებად გადაკეთებას.

თუ თავისი აზრის სავსებით გატარება კი მორთო ამხ. ლადომ, შემდეგ იგი ამ გზაზე კიდევ უფრო შორს მიდის და იმედი აქვს გაუქმებულ სასულიერო სემინარიების აღდგენისა... აქა-იქ, მგონი, კიდეც გამოსთქვა ამხ. კოტრიკამ თავისი აზრი.

აზრი, რა თქმა უნდა ჩინებულია, თუ იგი არ გაკოტრდა, ე. ი. შესაძლებელი გახდა მისთვის ფრთების შესხმა, ე. ი. უფრო სხარტულად რომა ვსთქვათ, გაფრენა, თანახმად ანდაზისა, რომელიც ამბობს: „კოკასა შიგან რაცა სდგას, იგივე გამოდინდება“...

სიმონიკა.

## ხელოვნების სასახლესა ზედან ცილაობა



სოსო: ეს ხელოვნების სასახლე
შენ ერთს რომ მიგაქვს, ტიციან,
ამაზე ხელ.—მთავ.—საბ.—ანში
ჯერ არაფერი იციან!..
ერთი ოთახი უანგისთვის
თუ მაინც არ მოგიცია,
შურას გიფიცავ, გავწყრები,
მიფრთხილდი, ჩემო ბიძია!..

კაპ.

### აი, რა!..

ნიკამ უთხრა თინასა,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
მიგასწავლი შინასა,
აი, რა!
თინამ ნიკას შეხედა,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
ნეტავ რად მოეხეტა?!.
აი, რა!...
ნიკა თინას ხელსა ჰხვევს,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
და ისწორებს ყელსახვევს,
აი, რა!...
თინა მხრებს აიჩეჩავს
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
და ნიკასკენ მიჩოჩავს
აი, რა!...
ნიკაც თინას ეკვრება,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
გოგოც ბიჭს არ ეყრება,
აი, რა!...
„ტი-ტი-ტი-ტი... ტა-ტა-ტა“...
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
შენ ძაღლი და მე კატა,
აი, რა!...
ორივ ვიყვეთ კატებათ,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
ნეტავ რა მოგვაკლდება,
აი, რა!...
თინა აბრეცს ნიკაბსა,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
როცა ეტყვის ნიკასა
აი, რას:
„მზემან ჩემის კიჭისა,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
მეშინია ბიჭისა,
აი, რა!...
ნიკა ფიცით არწმუნებს,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
ქალთან თავს იკატუნებს,
აი, რა!...
გოგოს ფიცი ატყუებს
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
და „მპუ“ არეს აყრუებს,
აი, რა!...
თინა დასხლტა, მიროკავს,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
ნიკა ტუჩებს ილოკავს,
აი, რა!...
აილოკა ბაცილა,
ჩუმ-ჩაირა, ჩაირა,
თინაც შინ მიაცილა,
აი, რა!...

ქოჩი.

**მუშკორი—„დავითი“ და ხოზბიუროკრატი—„გოლიათი“.**

(ჟურნალ გაზეთებიდან).




**მუშკორი:** არ მიყვარს შორით ტყორცნა ქვის ან მისვლა ქურდული, [illegible]ზე კაკალ გულში ასობს სიტყვას ჩემ[illegible] ურდული!..

**ზრდილობიანი დათხოვნა სამსახურიდან**

მუშკორების შენიშვნას მიაქციეს ყურადღება

(გაზეთებიდან)



**მუშკორი ხოზბიუროკრატის კაბინეტში**

— შენი შერდული მართლაც ვიგრძენ დადებულია: რა მავილობა, კარგი ენა, აზრიც სრულია! ნიჭი თუ ასე გზა არ მივეცით, დაღუპულია, ამიტომ ვზოგავ: დრო გქონდეს და მოკალობა! განავითარო ეგ უკვდავი ენი ხელობა! ფიზიკურ შრომით თქენ და ზგასთან ნიჭი ჩაკვდება. განთავისუფლებ. სამსახური შენი თავდება!..

# ქუთაისის მაუდის ქარხანა

ქარხნის დადგმა დაწყებულია 1922 წელს, ის საჩუქრათ მიიღო საბჭოთა საქართველომ საბჭოთა რუსეთიდან. საქართველოში განსაკუთრებული პოლიტიკური და [illegible]მიური მნიშვნელობა ჰქონდა ქარხნის დადგმას, რადგან ამითი პირველად ყოვლისა გაძლიერებულიყო რიცხვი მუშების, და მეორე ის, რომ ჩვენი ნედლი მასალა ადგილობრივათ დამუშავებულიყო, და ამგვარათ საქონლის ღირებულება იაფი ყოფილიყო, რაც უფრო ხელმისაწვდომი იქნებოდა ფართო მშრომელი მასებისათვის. ამ ორი მთავარი მიზნით შეუდექით ამ დიდი საქმის კეთებას, მიუხედავათ იმისა, რომ საქართველოში არც ერთი მცოდნე პირი არ გვყავდა მაუდის მრეწველობისათვის. არ გვყავდა გამოცდილი მუშები, მაგრამ ჩვენ ამ დაბრკოლებებს არ შეუშინდით და საქმეს დიდი ენერგიით მოვკიდეთ ხელი. მართალია, ცოტა დაგვიანდა ქარხნის დამთავრება, მაგრამ ამის მიზეზი იყო ის, რომ პირველი ორი წელიწადი საქმის გაცნობას და შესწავლას უნდებოდით და ისიც არა გამოცდილი პირების ხელმძღვანელობის ქვეშ რომ ნამდვილ აღმშენებლობას ჩვენ მოვანდომეთ ერთი წელი, რომლის განმავლობაში ჩვენმა მუშებმა მოლოდინს გადააჭარბეს. დღეს თამამად შეიძლება ითქვას, რომ ქარხნის დამთავრების საქმე თითქმის შესრულებულია, ის დღეს მტკიცე დონეზე სდგას და წინ მიიწევს, კიდევ ცოტა ენერგია, კიდევ ცოტა დახმარება და ის ამ მოკლე ხანში 100%-ით ამუშავდება და სრულათ გაამართლებს იმ დანიშნულებას, რომელსაც მას აკისრებდნენ. აქ საჭიროა აღინიშნოს, თუ რა მიღწევები გვაქვს: პირველი—ქარხანამ სამუშაოში ჩააბა 180 მუშა, ამგვარათ მან შექმნა ქუთაისის სინამდვილეში პროლეტარული კადრი, ახლო მომავალში (არა უგვიანეს სამი თვისა), როდესაც ფაბრიკა 100%-ით ამუშავდება, მუშების რაოდენობა გაიზრდება ორჯელ, ე. ი. 300 კაცს აღემატება, ამის გარდა ქარხანამ ამ მოკლე ხანში შექმნა გამოუცდელი მუშებისაგან საქმის მცოდნე კადრი, დღეს ქუთაისის მაუდის ქარხანას ყავს საკუთარი საფეიქრო მრეწველობისათვის მომზადებული მუშები, ეს კი ჩვენი მუშაობის მთავარ მიღწევათ მიგვაჩნია. გარდა ამისა, ჩვენ უკვე მივეცით ბაზარს 50 ათასი მეტრი მაუდი, რომელიც ღირსებით სხვა დიდ ქარხნების ნაწარმოებს არ ჩამოუვარდება და ფასიც უფრო ხელმისაწვდენელია. რა თქმა უნდა, როდესაც ჩვენ მთლად ავამუშავებთ ქარხანას, ის ბაზარს მისცემს არა ნაკლები 200 ათასი მეტრისას, 30%-ით უფრო იაფათ, ვიდრე დღესა და საქონლის ღირსებაც უფრო კარგი იქნება. რაც შეეხება მუშების მდგომარეობას, მართალია, ჩვენმა მუშებმა ქარხნის გაჭირვების მთელი სიმძიმე გადაიტანეს თავიანთ თავზე, მაგრამ თანდათანობით მათი მდგომარეობა უმჯობესდებოდა როგორც ეკონომიურათ, აგრეთვე სანიტარულ-ჰიგიენურ მხრივაც. ამ უკანასკნელის მიმართულებით ახლაც დიდი მუშაობა სწარმოებს და შედეგებიც დამაკმაყოფილებელი იქნება. დასასრულ უნდა აღინიშნოს ის, რომ ქარხნის საქმე სწრაფი ნაბიჯით მიდის წინ და ეს კეთდება ქართველი მუშების ხელით, რომელიც აღზარდა და შექმნა საბჭოთა ხელისუფლებამ.

დ. რ—ძე.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟურნალი „დროშა“ ურიგდება უფასოდ

# „დროშა“

„კომუნისტი“-ს ყველა ხელისმომწერლებს

6/2ყ3



## გამოვიდა და იყიდება

# სანდრო შანშიაშვილის

რჩეულ თხზულებათა პირველი ტომი

# ლირიკა, პოემები

მეორე ტომი გამოვა ა/წ. იანვარში

მოთავსებულია: 1. მკვლელი ნილაბში, 2. მედია და მშვენიერი ელენე, 3. დემეტიკა, 4. იასონ და რენო 5. ქალი გრძნეული, 6. ორფეუს და ევრიდიკე.

მისამართი: ერთად-ერთი საწყობი, თბილისი, ლენინის ქუჩა, (ვერის დაღმართი) № 6 წიგნის მაღაზია „განათლება“ სილიბისტრო თავართქილაძესთან.

—F.—


მთავლ. № 230. ტირ. 22.000 საქართველოს კომუნისტურ პარტიის (ცენტრალურ კომიტეტის სტამბა კალის ქ. 68